ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 20 – 21 აპრილი, 2019 №93 (8047) ფასი: 60 თეთრი

## ბესიკ ლაგვილავას დაჭრისთვის ბექან გვაზავას ეძებენ



გვ.7

რა მოხდა გრიგოლიშში, „ოცნების“ შტაბთან

19 აპრილიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი II




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

# სალომე ზურაბიშვილს ლაშა ჟვანია გაექცა





გვ.3

საპატრიარქო თუ საგარეო საქმეთა სამინისტრო – სად წავა ლაშა ჟვანია



გვ.2

## მომავალ კვირაში, შესაძლოა, თეა წულუკიანი გადადგეს

„მან უკვე მონახა საფრანგეთში ბინა, სადაც ოჯახთან ერთად იცხოვრებს“

## გიგა ბოკერიამ და ზაზა პაპუაშვილმა იჩხუბეს





გვ.2



გვ.4

## ნინია კაკაბაძე: „ნათია კაპანაძის იმპიჩმენტით „ოცნებამ“ კიდევ ერთი ტელევიზია მიითვისა“

„ივანიშვილი 2020 წლის არჩევნებისთვის მედიაზე გავლენების მოპოვების მიზნით სივრცეს ისუფთავებს“



გვ.6

## „შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, ჯიბისა და ტელეფონის სასამართლო ვერ მოვიშორეთ“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნება“ ციდან მიწაზე ჩამოვარდა და ბანალური პარტია გახდა“

„ივანიშვილმა ვერ დაიჯერა, რომ წარმატებული ბიზნესმენი, შესაძლოა, სუსტი პოლიტიკოსი გამოდგეს“



გვ.5

## სოსო ცინცაძე: „ზალკალიანი სუსტი მინისტრია, ციხელაშვილის სამინისტრო გასაუქმებელია“

„ნათია თურნავა ქრონიკული მოადგილეა“



გვ.3

სამართალი გვ.7



## დავით კირკიტაძის პროცესზე 4 პოლიციელი დაკითხეს




## ვარკეთილში ლიბერთი ბანკი დააყაჩაღეს

დაშავდა 2 ადამიანი



## რუსთავში მერსედესი აფეთქდა

3 ადამიანი დაშავდა

ISSN 1987-9385

3 თბილისში ყველაზე ძვირადღირებულ, ბრიტანულ საერთაშორისო სკოლას ბრალად თაღლითობასა და ლიცენზიის გარეშე საქმიანობას სდებენ

4 გაზრდილი ბიუროკრატია მცირე ბიზნესისთვის წინაღობად არის ქცეული

5 აშშ-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში ღრმავდება

6 ბიზნესი ნათია თურნავას საქართველოს ეკონომიკის რეანიმაციაში აქტიურ მონაწილეობას ურჩევს

# მომავალ კვირაში, შესაძლოა, თეა წულუკიანი გადადგეს

## „მან უკვე მონახა საფრანგეთში ბინა, სადაც ოჯახთან ერთად იცხოვრებს“

შორენა მარსაგიშვილი

მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე საუბრისას მინისტრები და საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ირონიული სახით პასუხობდნენ მედიას – საიდან მოგაქვთ ეს სისულელეო.

მას შემდეგ, რაც ეკონომიკის მინისტრი გიორგი ქობულია მიაბრძანეს, მინისტრები და დეპუტატები სხვა ხმაზე აჭიკჭიკდნენ. ახლა ასე ამბობენ, ისეთი არაფერი, მთავრობაში ცვლილებები ჩვეულებრივი ამბავიაო.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო უფრო შორს მიდის, მედიასთან საუბარში ის ამბობს, რომ ცვლილებები მომავალშიც იქნება.

მთავრობაში ცვლილებები რომ იქნება, ეს მედიამ სერგეენკოს აღიარების გარეშეც კარგად იცის. „ოცნების“ კულუარებიდან საკმაოდ სერიოზული ინფორმაციები გამოდის.

მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, ეტყობა, „ოცნების“ დიდ ნაწილს საქმის კურსში არ აყენებენ. ქობულიას შემთხვევამ დაამტკიცა, რომ მისი წასვლის შესახებ დეპუტატები, მათ შორის ეკონომიკური ბლოკის საპარლამენტო კომიტეტები, ინფორმირებული არ იყვნენ.

დეპუტატების დიდი ნაწილი აზრზე რომ არ იყო, ამას საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან კობერიძეც ადასტურებს.





მისი თქმით, როცა მინისტრი იცვლება, ამაზე გუნდი ინფორმირებული უნდა იყოს.

პრემიერი მამუკა ბახტაძე ამტკიცებს, რომ ქობულიას გადაყენების გადაწყვეტილება მან მიიღო.

ბრძანებას მართლა მან მოაწერა ხელი, მაგრამ, როგორც „ახალი თაობა“ რამდენიმე დღის წინ წერდა, ქობულიას გადადგომა ივანიშვილმა მოითხოვა. „ოცნების“ მამას სურდა, რომ აწ უკვე მინისტრყოფილს განცხადება თავად დაეწერა. პრემიერმაც ეს მოითხოვა მისგან. ამაზე ქობულიამ უთხრა, თუ მაგარი ბიჭი ხარ, მომხსენიო.

ამ ინფორმაციამ მედიაში გაჟონა, ბახტაძე გამწარდა და ქობულია მოხსნა. ცხადია, ამაზე კურთხევა ივანიშვილისგან ჰქონდა მიღებული.

„ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ქობულიას მოხსნას უჩა მამაცაშვილი და ვანო ჩხარტიშვილი ითხოვდნენ. მათივე რეკომენდაციით დაინიშნა ეკონომიკის მინისტრად ნათია თურნავა.

მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებს დავით სერგეენკოც ადასტურებს. ჩვენი წყაროს მტკიცებით, ივანიშვილი გუნდის სერიოზულად განახლებას აპირებს.

– სერიოზული ცვლილებები უკვე გადაწყვეტილია. ახლა ისაა გასარკვევი, ეს შუალედურ არჩევნებამდე მოხდება თუ მის შემდეგ, – ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

რეიტინგშეზანზარებულ ხელისუფლებას ახლა ხალხის გულის მოგება ჰაერივით სჭირდება, არჩევნების წინ ამის გაკეთება, ერთი მხრივ, მომგებიანია, ხოლო მეორე მხრივ – სარისკო.

„ოცნებაში“ დაწყებულმა არეულობამ ამ პარტიის მხარდამჭერები ისედაც გაურკვევლობაში ჩააგდო. ამ დროს მინისტრების ნაწილის გათავისუფლებამ შეიძლება გაურკვევლობა კიდევ უფრო გააძლიეროს.

გიორგი ქობულია ამ მხრივ გამონაკლისი იყო. ის ისეთ განცხადებებს აკეთებდა, რომ მამალი და ნედლი ქოცები დანარჩენ საქართველოსთან ერთად აღშფოთებისგან ბოლო ხმაზე კიოდნენ.

მთავრობაში კიდევ არის რამდენიმე მინისტრი, რომელთა წასვლაც არანაირ უკუშედეგს არ გამოიღებს.

რამდენიმე მათგანმა შეიძლება უკვე მომავალ კვირაში დაწეროს განცხადება. შესაცვლელთა შორის მოიაზრებიან ქეთევან ციხელაშვილი, თეა წულუკიანი, ივანე მაჭავარიანი და დავით ზალკალიანი.

ამ უკანასკნელის შემცვლელად კარგა ხანია ასახელებენ საქართველოს ელჩს აშშ-ში დავით ბაქრაძეს. მმართველ გუნდში ამბობენ, რომ თუ ბაქრაძე მინისტრად დაინიშნა, აშშ-ში საქართველოს ელჩი ზალკალიანი გახდება.

თეა წულუკიანის წასვლაზე არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია. „ოცნებაში“ ამბობენ, რომ ის საქართველოს ელჩი იქნება საფრანგეთში.

რამდენიმე კვირის წინ წულუკიანმა წასვლა ფაქტობრივად დაადასტურა, მაგრამ რამდენიმე საათში უკან დაბრუნდა.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ წულუკიანი ძალიან მალე წავა.

– გუნდში ყველამ იცის, რომ ამ ქალს განცხადება დაწერილი აქვს. მან უკვე მონახა საფრანგეთში ბინა, სადაც ოჯახთან ერთად იცხოვრებს. ასე რომ, მის გადადგომას განცხადებაზე პრემიერის ხელის მოწერა აკლია. განცხადება მას დაწერილი აქვს, – გვიამბობს ჩვენი რესპონდენტი.

მმართველ გუნდში მის შემცვლელად კახა კახიშვილის კანდიდატურა განიხილება. ციხეები დღეს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ყველა აღიარებს, რომ ციხეებიდან კახიშვილის წამოსვლის შემდეგ იქ სიტუაცია აირია. ციხის კადრებით მოსულ ხელისუფლებას ციხეებში არეულობა არ აწყობს. კახიშვილის წასვლის შემდეგ „ოცნებამ“ ციხეებში საპრეზიდენტო არჩევნები წააგო.



გავრცელებული ინფორმაციით, პოსტს დატოვებს თავდაცვის მინისტრიც. მის სავარაუდო შემცვლელად იმერეთის გუბერნატორი შავლეგ ტაბატაძე განიხილება.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო ამბობს, რომ „ოცნება“ იზორიას შუალედურ არჩევნებამდე შეინარჩუნებს. ამ ადამიანს სამეგრელოში სერიოზული გავლენები აქვს, მმართველ პარტიას კი ზუგდიდში უმნიშვნელოვანესი არჩევნები აქვს მოსაგები.

აქამდე სამეგრელოში არჩევნების მოგებაზე პასუხისმგებელი გიორგი გახარია იყო. ხმები გახარიას გაპრემიერების შესახებ არაერთხელ გავრცელდა. ბოლო დროს ითქვა, რომ ის დარჩება შსს-ში, მთავრობის მეთაური კი გიორგი ბაჩიაშვილი გახდება, რომელმაც თანაინვესტირების ფონდის თავმჯდომარის პოსტი რამდენიმე დღის წინ დატოვა.

ჩვენი რესპონდენტი გვეუბნება, რომ რეალურად პრემიერი გახარია იქნება. ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ ერთი კვირით ამერიკაში იმყოფებოდა. ამ ვიზიტისას მან რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა.

დეტალები დღემდე არ ხმაურდება. ამბობენ, რომ შეხვედრებზე გახარიას პრემიერობის საკითხი განიხილებოდა.

**დავით სერგეენკო: „მთავრობაში ცვლილებები კიდევ იქნება“**

# გიგა ბოკერიამ და ზაზა პაპუაშვილმა იჩხუბეს

შორენა მარსაგიშვილი

საკანონმდებლო ორგანომ, როგორც იქნა, მოიცალა სახალხო დამცველის მოხსენების მოსასმენად. მმართველი გუნდი ნინო ლომჯარიას ძალიან უხალისოდ უსმენდა.

სამაგიეროდ, სმენად გადაიქცნენ, როცა კითხვა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ დასვა.

მეოცნებეებს ბოკერიას კითხვა იმდენად არ აინტერესებდათ, რამდენადაც იმის გარკვევა სურდათ, თუ რა პასუხს გასცემდა ეს უკანასკნელი ზაზა პაპუაშვილს. „ოცნების“ დეპუტატი ოპოზიციონერ კოლეგას უცენზურო სიტყვებით ამკობდა.

ზაზა პაპუაშვილმა „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს ჯერ მასხარა უწოდა. მერე კი ნამდვილ უცენზურობაზე გადავიდა.

– საქმეზე ილაპარაკე, შე ნაგავო. გაატ...კა, – ასეთი ფრაზა ისროლა ბოკერიას მისამართით „ოცნების“ დეპუტატმა.

ბოკერია უცენზურობის კორიანტელს გამომწვევი სიმშვიდით შეხვდა, თან პარლამენტის თავმჯდომარეს სთხოვა, იქნებ შენი თანაპარტიელები დაამშვიდოო.



„ევროპული საქართველოს“ ლიდერმა პაპუაშვილის გამოხდომაზე ერთგვარი გაკვირვებაც გამოთქვა. მისი თქმით, პაპუაშვილი მასთან ახლოს როცა დგას, ძალიან ზრდილობიანად გამოიყურება. უზრდელობაზე მაშინ გადადის, როცა მისგან მინიმუმ რამდენიმე მეტრით არის დაშორებული.

– რატომ აღელდით, რომელიმე ჯგუფი გაკლიათ? დამგმობი ჯგუფი გაკლიათ თუ შემქები? ორივე ხართ? აქამდე სულ ჩუმად იყავით და ახლა აღელდით ძალიან. ეს რობოტი ვინ იყო, რომელი ხარ, აბა, დაიყვირე! რას მიზამ? აბა, გაიმეორე ერთი. ეს ვინ არის, ახლოს ძალიან ზრდილობიანი დეპუტატია და შორიდან არის ძალიან უზრდელი და რა ვუწოდო ამ კაცს, არ ვიცი. ძალიან აღელდა ეს ხალხი, მთელი დღე ეძინათ და ახლა აღელდა.

დაამშვიდეთ ეს ხალხი ან მოდით და ახლოს დამელაპარაკეთ ხოლმე შესვენების დროს, თუ რამე პრეტენზია გაქვთ და ასე გიდუღთ სისხლი. ახლა, რომ მორჩება და გელოდებით ყველას, ვინც უკნიდან ყვირით ხოლმე. თუ გაჩუმდებით, დავსვამ კითხვას, მოისვენეთ, რა, – მიმართა ბოკერიამ „ოცნების“ დეპუტატებს.



ბოკერიას ზედმეტად მშვიდმა და პროვოკაციულმა ტონმა ძალიან გააღიზიანა „ოცნება“. გაღიზიანდა პარლამენტის სპიკერიც. ირაკლი კობახიძემ დეპუტატს პროვოკაციის მოწყობა დასდო ბრალად. ამ ბრალდებას „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი უმწიკვლო ღიმილით შეხვდა.

მწვავე გამოსვლა ჰქონდა „ოცნებიდან“ გამიჯნულ ლევან გოგიჩაიშვილს. მისი სიმწვავის ადრესატი ნინო ლომჯარია იყო.

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი ლევან გოგიჩაიშვილი დაინტერესდა, თუ რის თქმა უნდოდა ომბუდსმენს, რა საფრთხეებს ხედავს ის მოსამართლეების უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით.

– თქვენ აქ მობრძანებული ხართ და განიცდით სხვა საკითხს, სასამართლოს საკითხს, გინდათ, განსაკუთრებით ესაუბროთ უმრავლესობას. რას ეუბნებით, რის თქმა გინდათ? რისკენ მოუწოდებთ, რა საფრთხე დაინახეთ, სად ვართ? რა მოცემულობაში ვართ, იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება თქვენ თვითონაც იცით, რომ თქვენც შეგეხებათ, თქვენს ოჯახსაც შეეხება, რაღაც რომ მოხდეს, თქვენი შვილი რომ გაიზრდება, ჩვენი შვილები რომ გაიზრდებიან, იმიტომ, რომ ერთი მეოთხედი საუკუნე უნდა განვსაზღვროთ ქართული მართლმსაჯულების, – განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ზალკალიანი სუსტი მინისტრია, ციხელაშვილის სამინისტრო გასაუქმებელია“

ნათია ხურცილავა

## „ნათია თურნავა ქრონიკული მოადგილეა“



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში განხორციელებულ და მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს.

***– პრემიერმა ბახტაძემ გიორგი ქობულიაზე განაცხადა, რომ ის ძლიერი ეკონომისტია, მაგრამ მაინც გაუშვეს. თქვენ რას ფიქრობთ, რა შეიძლება, რეალური მიზეზი ყოფილიყო?***

– თავის დროზე ბატონი ქობულიას მოსკოვიდან ჩამოყვანა შეცდომა იყო. ის არ იცნობდა ქართულ რეალობას. ის ვერ გრძნობდა ამ ქვეყნის სოციალურ ვითარებას. ის ვერ გახდა ამ ქვეყნის რეალური მინისტრი. მისი ცნობილი განცხადება ყველას ახსოვს. როდესაც მოვისმინე ეს განცხადება, მაშინვე ვთქვი, რომ ის აქ არ არის და რომ თავისი აპარტამენტებიდან უყურებს რეალობას.

თქვენ მკითხეთ გადაყენების რეალურ მიზეზზე. მეც ძალიან ბევრი მოვისმინე ამ დღეებში, რომ ის რაღაცას ცდილობდა, რომ მას ივანიშვილისგან განსხვავებული ხედვა ჰქონდა და ა.შ. თუ ასეა, მაშინ ყველაზე მთავარი მოკავშირე რა შეიძლება იყოს შენი?! რასაკვირველია. გახსნილობა, ღიად საუბარი ამ ყველაფერზე საზოგადოებასთან, ცხადია, მედიის მეშვეობით. მაგრამ ჩვენთან ეს კულტურა არ არსებობს.

***– ბატონო სოსო, რამდენიმე კვირის წინ სწორედ ქობულიას წასვლა-არწასვლაზე მითხარით, ეკონომიკის დარგში ნობელიანტებიც რომ ჩამოიყვანოს ივანიშვილმა, ვერაფერს უშველისო. რას შეძლებს თურნავა?***

– ვინ არის ნათია თურნავა?! ყველა მთავრობაში, გარდა ზვიად გამსახურდიას მთავრობისა, მინისტრის მოადგილე იყო. ის ქრონიკული მოადგილეა. მინისტრი ვერასდროს გახდება, მერე რა, რომ დაინიშნა. მე მეეჭვება, რომ თურნავა დამოუკიდებელი, რეალური პოლიტიკოსი გახდეს. პოლიტიკაში ვგულისხმობ ამ შემთხვევაში ეკონომიკურ პოლიტიკას, იდეებთან ჭიდილს და ა.შ. ამას ის ვერ შეძლებს.

თურნავამ რატომ არ დააფიქსირა თავისი პროტესტი, როდესაც ქობულიამ პირველი მარგალიტი გადმოაგდო თავისი ცნობილი განცხადების სახით?! თუ ისიც ასე ფიქრობს?! ეს უნდა ჰკითხოთ ჟურნალისტებმა თურნავას, რატომ არ გააპროტესტა მან ეს განცხადება.

***– ამბობენ, რომ მინისტრთა კაბინეტში ცვლილებები ციხელაშვილისა და ზალკალიანის გაშვებით გაგრძელდება.***

– ტალეირანი, რიშელიე, ბისმარკი რომ გააცოცხლოთ და ერთად დანიშნოთ, შედეგი იგივე იქნება, რაც დღეს არის საგარეო მიმართულებით. აქ კონტექსტია მნიშვნელოვანი. თუმცა, რასაკვირველია, მე პროფესიონალიზმს არ უარვყოფ, პირიქით, ლამის ქადაგად დავვარდე, რომ მაღალი დონის დიპლომატები გვჭირდება, რომ პროფესიონალები არიან საჭირო, რადგან ჩვენ ისედაც ცუდ დღეში ვართ ჩვენი რეალობიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ციხელაშვილის სამინისტროს, მე ვურჩევდი პრემიერს, რომ ეს სამინისტრო გააუქმოს და საგარეო საქმეთა სამინისტროში შექმნას დეპარტამენტი, როგორც დიასპორასთან დაკავშირებით მოხდა.

რა გააკეთა ციხელაშვილმა?! ვიღაცები მეტყვიან, ციხელაშვილი ხომ ვერ დაიბრუნებდა ტერიტორიებსო. ერთი ხმაურიანი კონფერენცია მაინც მოეწყო ბრიუსელში, ევროსაბჭოში, ეთქვა საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის, საოკუპაციო ხაზზე ამ დამკვირვებლების დაკვირვების ფონზე რომ იტაცებენ ჩვენს ხალხს, რომ ცხოვრება გამწარებული აქვთ ადამიანებს, ყანა ვერ მოუთოხნიათ და ძროხა ვერ გაუშვიათ საძოვრებზე. ამისთვის გვჭირდება ციხელაშვილი და არა იმისთვის, რომ მინისტრი ერქვას და მანქანა ემსახურებოდეს.

ზაქარეიშვილი უფრო აქტიურობდა, კონტაქტები ჰქონდა. ინიციატივებით გამოდიოდა, მართალია, ზოგი მისაღები, ზოგიც – ნაკლებად. ეს სამინისტრო საერთოდ გასაუქმებელია, მაინც არაფერს აკეთებს.

***– ზალკალიანის შემცვლელებიც სახელდებიან, მაგალითად, ამერიკაში ჩვენი ელჩი ბაქრაძე, თუმცა ის არ არის თანახმა, რომ ჩამოვიდეს. ასევე სახელდება ზურაბ აბაშიძე.***

– სამწუხაროდ, ზალკალიანი სუსტი პროფესიონალია. გაცილებით უარეს დღეში იყვნენ ალექსანდრე ჩიკვაიძე, ირაკლი მენაღარიშვილი, ელჩებს ხელფასს ვერ აძლევდნენ, საელჩოებს იჯარის ვალი გვქონდა, მაგრამ მაინც რაღაცას ახერხებდნენ თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმის ხარჯზე.

საგარეო საქმეთა მინისტრი თუ არ არის მაღალი დონის დიპლომატი, თავისი საქმის პროფესიონალი, ჩვენნაირ ქვეყანას კი არა, მერწმუნეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუჭირდება დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობა. დიპლომატია ის დარგია, სადაც შეცდომა, უბრალოდ, არ არსებობს, არათუ მისი პატიება.

კიდევ ერთი, ჩვენ აღმოსავლელი ხალხი ვართ, სადაც ერთგულება, სოლიდარობა და არა მლიქვნელობა ძვირად ფასობს. ზალკალიანმა თავის პარტიას უღალატა, თან ის განცხადებაც ხომ გახსოვთ, მივდივარ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ საგარეო კურსი შეცვალაო, მაგრამ, ორ თვეში მინისტრი რომ გახდა, გაირკვა, რომ მთავრობას არც კურსი შეუცვლია და არც არაფერი.

ერთი სიტყვით, ხეების მიღმა ტყეც უნდა დავინახოთ. მე მაინც ამ ცვლილებებს არჩევნებს ვუკავშირებ. ეს არის ელემენტარული ტაქტიკური მანევრი და სხვა არაფერი.

მე სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ უკეთეს მინისტრებს მოიყვანენ, მაგრამ ეს ცვლილება სჭირდება „ქართულ ოცნებას“ და ამიტომ აკეთებს ამას.

# სალომე ზურაბიშვილს ლაშა ქვანია გაექცა

## საპატრიარქო თუ საგარეო საქმეთა სამინისტრო – სად წავა ლაშა ქვანია

შორენა მარსაგიშვილი



მთავრობასა და პარლამენტში დაწყებულ არეულობას პრეზიდენტმაც გამოუცხადა სოლიდარობა. 19 აპრილს ლაშა ჟვანიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობას ტოვებს.

ხმები ლაშა ჟვანიას წასვლის შესახებ 9 აპრილის შემდეგ გავრცელდა. 9 აპრილს საქართველოს პრეზიდენტს ბევრი იაღლიში მოუვიდა. იაღლიშის რანგში გადიოდა ის განმარტებები, რომლებიც ჟვანიამ ამ იაღლიშებთან დაკავშირებით გააკეთა.

მაშინ ჟვანიას წასვლის შესახებ გავრცელებულ ხმებს მედიის მონაჭორი უწოდეს. 19 აპრილს კი თავად ლაშა ჟვანიამ გვითხრა, მივდივარო.

ეს სიახლე მან ერს სოციალური ქსელის მეშვეობით აცნობა. ჯერ ისევ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გვპირდება, რომ თანამდებობას პირველი მაისიდან დატოვებს.

ამ პოსტიდან ირკვევა, რომ მას წასვლის სურვილი ჯერ კიდევ წინა თვეში გასჩენია.

– მარტში მივმართე ჩემს რჩეულ პრეზიდენტსა და მთავარსარდალს – მისი შეხედულებისამებრ, მისთვის ხელსაყრელ დროს გამათავისუფლოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობიდან. პრეზიდენტისთვის ხელსაყრელი დრო 1 მაისია.

ჩემს მეგობრებს კარგად გახსოვთ, რომ პრეზიდენტმა მიმართა კათოლიკოს-პატრიარქს, რომ მე გადავსულიყავი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. ამ წერილს დავურთე ჩემი „განცხადებისმაგიერი“ ღია მიმართვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი.

მისმა უწმიდესობამ დააკმაყოფილა პრეზიდენტის მიმართვა – გადავსულიყავი ადმინისტრაციაში, მაგრამ არ დააკმაყოფილა ჩემი განცხადება პატრიარქის ფონდიდან გათავისუფლების შესახებ.



ახლა, პირველი მაისიდან მე ვტოვებ პრეზიდენტის ადმინისტრაციას და ვაგრძელებ მუშაობას ჩემს ტკბილ და ბრძენ პატრიარქთან.

ახალი დავალებაც გვაქვს – ფონდი ორიენტირებული იქნება რეგიონებში, საპატრიარქოს მონასტრებთან მეწარმეობის განვითარებაზე, ახალგაზრდების ჩართულობაზე, სწავლებაზე, მომზადებასა და ხელშეწყობაზე. კონკრეტულ პროგრამას წარვუდგენთ ფონდის მმართველ საბჭოს, – წერს ლაშა ჟვანია ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

**„ვაგრძელებ მუშაობას ჩემს ტკბილ და ბრძენ პატრიარქთან“**

ამავე პოსტში ლაშა ჟვანია პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მადლობას უხდის.

„ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ ჟვანიამ ეს გადაწყვეტილება ზურაბიშვილთან კამათის შემდეგ მიიღო. სალომე ზურაბიშვილთან მუშაობა რომ ადვილი არ არის, ამას არავინ უარყოფს. ვისაც მასთან რამე შეხება ჰქონია, ყველა ამბობს, რომ ეს ქალი ყველას ზემოდან უყურებს.

მმართველ პარტიაში არ გამორიცხავენ, რომ ჟვანიამ მუშაობა არა საპატრიარქოში, არამედ საგარეო უწყებაში გააგრძელოს.

„ოცნებაში“ არის მეორე ვარაუდიც, რომ ეს წასვლა პრეზიდენტთან არის შეთანხმებული და შეიძლება, ზურაბიშვილმა მისი ელჩად ან საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა მოითხოვოს.

დაახლოებით ორი კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პრეზიდენტმა ივანიშვილს მოსთხოვა, ელჩებსა და საგარეო საქმეთა მინისტრს მე დავნიშნავო.

ლაშა ჟვანიას საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის გამოცდილება აქვს. ის რამდენიმე წლის განმავლობაში ისრაელსა და კვიპროსში საქართველოს ელჩიც იყო.

2008 წლის ივნისიდან ლაშა ჟვანია საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარედაც მოგვევლინა.

2008 წლის 10 დეკემბერს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე სისტემაში მკაცრი მენეჯმენტისა და რეფორმების განხორციელების საჭიროების გამო საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეთავაზებით დაინიშნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრად.

2009 წლის 21 აგვისტოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის გადაწყვეტილებით თანამდებობა დატოვა სამინისტროს „არადამაკმაყოფილებელი და არაკოორდინირებელი მუშაობის“ გამო. თავის მხრივ, ლაშა ჟვანიამ გილაურს „სუსტი პრემიერი“ უწოდა, რომელმაც მენეჯმენტის ელემენტარული პრინციპები არ იცის და განაცხადა, რომ დაპირისპირება პრემიერ გილაურთან „ძალიან მნიშვნელოვან“ საკითხებზე ჰქონდა, მათ შორის „ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე, რომელიც დასაჩქარებელია და სასიცოცხლოდ აუცილებელია“.

2010 წლიდან ლაშა ჟვანია პატრიარქის საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელია, ხოლო 2018 წლის 18 დეკემბერს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დაინიშნა.

ლაშა ჟვანია მიხეილ სააკაშვილსაც უხდიდა მადლობებს. როდესაც ის მინისტრობიდან წამოვიდა, ერთ-ერთ გადაცემაში თქვა, რომ სოფელშიც რომ იმუშაოს მიწაზე, მაინც სააკაშვილის მხარდამჭერად დარჩება.

მერე, ეტყობა, ეს დანაპირები დაავიწყდა და სხვა ყოფილ ნაცებთან ერთად მიშას გმობას შეუდგა.

# თბილისში ყველაზე ძვირადღირებულ, ბრიტანულ საერთაშორისო სკოლას ბრალად თაღლითობასა და ლიცენზიის გარეშე საქმიანობას სდებენ

თბილისის საქალაქო სასამართლო იხილავს აზერბაიჯანის მოქალაქის ზარინა ალიხანოვას სარჩელს, რომლითაც იგი თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლისგან შვილის, რ.ა. სწავლის საფასურის უკან დაბრუნებასა და მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს.

ზარინა ალიხანოვასა და მისი შვილის რ.ა.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ამირან გიგუაშვილის განცხადებით, ისინი მოითხოვენ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას, რადგან სწავლის საფასურის მორიგი გაძვირებისას ზარინა ალიხანოვა იძულებული გახდა, შვილი კერძო, ძვირადღირებული სკოლიდან გამოეყვანა და საჯარო სკოლაში გადაეყვანა, რა დროსაც აღმოაჩინა, რომ თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლას არ გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია, აღიარება განათლების სამინისტროსგან, რის გამოც მისი შვილს მოუწია ხუთი კლასის გამოცდების ჩაბარება ხელახლა და ერთი კლასით უკან დაბრუნება.

მიღებული მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის გამო არასრულწლოვანი რ.ა. დღემდე მკურნალობს და ესაჭიროება რეაბილიტაცია.

– ეს არის სრულიად აღმაშფოთებელი, როდესაც ასეთ ძვირადღირებულ სკოლას არ გააჩნია უცხოენოვანი პროგრამის შესაბამისი აღიარება და, რაც მთავარია, ამის შესახებ არ არიან ინფორმირებული მშობლები. ისინი იხდიან ასტრონომიულ თანხებს, სწავლის საფასური მერყეობს 7.000 აშშ დოლარიდან 12.000 აშშ დოლარამდე წელიწადში და მას შემდეგ, რაც მათი შვილები დაასრულებენ სწავლას, ისინი ვერც ერთ უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩააბარებენ საქართველოში, ვინაიდან ბრიტანულ საერთაშორისო სკოლას არ გააჩნია კანონით დადგენილი აღიარება. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ სკოლის ხელმძღვანელობას განმარტების თაობაზე, მით უფრო, როდესაც საკითხი ეხება არასრულწლოვანს, მაგრამ ისინი ქედმაღლურად შეხვედრაზეც კი არ დაგვთანხმდნენ და განაცხადეს, რომ მათ ისედაც ბევრი მოსწავლე ჰყავთ და არ აინტერესებთ კონკრეტული პრობლემა. მათი სოციალური უპასუხისმგებლობიდან და ადამიანური თანაგრძნობის არ ქონიდან გამომდინარე, დამრჩა განცდა, რომ ისინი სკოლას უყურებენ, როგორც სუპერმარკეტის მსგავს ბიზნესს და ბავშვები მათთვის მხოლოდ შემოსავლის წყაროა, ისე რომ არ ესმით არც განათლების ზოგადი არსი და არც მათი როლი არასრულწლოვნებთან დამოკიდებულებაში, რაც ძალიან სამწუხაროა, – აცხადებს ამირან გიგუაშვილი.

ამირან გიგუაშვილის განცხადებით, ზარინა ალიხანოვას მსგავსად კიდევ მრავალი მშობელი აპირებს ჩივილს და ისინი სამოქალაქო სასამართლოს გარდა, აპირებენ მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის დამფუძნებლების მხრიდან შესაძლო თაღლითობის ფაქტების გამოძიების მოთხოვნით.

თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სკოლაა, სადაც სწავლის საფასური წელიწადში 7.000 აშშ დოლარიდან 12.000 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს.

**კომერსანტი**

# ნინია კაკაბაძე: „ნათია კაპანაძის იმპიჩმენტით „ოცნებამ“ კიდევ ერთი ტელევიზია მიითვისა“

## „ივანიშვილი 2020 წლის არჩევნებისთვის მედიაზე გავლენების მოპოვების მიზნით სივრცეს ისუფთავებს“

იაგო ნაცვლიშვილი

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გენერალურ დირექტორ ნათია კაპანაძეს მრჩეველთა საბჭომ იმპიჩმენტი გამოუცხადა. გადაწყვეტილება საბჭომ სამსაათიანი განხილვის შემდეგ 4/1-ის წინააღმდეგ მიიღო. ნათია კაპანაძე გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს.

რატომ გამოუცხადეს ნათია კაპანაძეს იმპიჩმენტი და რა პროცესთან გვაქვს საქმე? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პუბლიცისტი **ნინია კაკაბაძე** საუბრობს.



***— აჭარის ტელევიზიის გენერალურ დირექტორს იმპიჩმენტი გამოუცხადეს. გვქონია ჩვენ საუბარი და აღვნიშნავდით, რომ ყველა საერთაშორისო კვლევით აჭარის ტელევიზია დაბალანსებულია. ამ ფონზე რამდენად მოსალოდნელი იყო თქვენთვის ეს?***

— ამ შემთხვევაში ჩემი შეფასება ძალიან მოკლე და ლაკონიურია. შემიძლია ვთქვა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთი ტელევიზია მიითვისა და ასე ნელ-ნელა მიდის წინ, ვიდრე ყველა ტელევიზიას თავისი კონტროლის ქვეშ არ მოაქცევს.

***— ამას „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირებთ?***

— რა თქმა უნდა. ამ უკანასკნელ შემთხვევას ვუკავშირებ პოლიტიკურ ინტერესს და ამ პოლიტიკური ინტერესის გამო მიიღეს ეს გადაწყვეტილება.

მე პირადად კარგად ვიცნობ იმ არგუმენტებს, რომელთა საფუძველზეც იმპიჩმენტი გამოუცხადეს ნათია კაპანაძეს და მერწმუნეთ, რომ ეს საკმარისი არ იყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ყველაფერს ნათია კაპანაძე სასამართლოში დაამტკიცებს.

***— იმედი გაქვთ, რომ სასამართლოში მოიგებს პროცესს?***

— თუ სასამართლო სამართლიანი იქნება, არათუ იმედი მაქვს, არამედ ამაში დარწმუნებული ვარ. მაგრამ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ დღეს სასამართლო არის ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ კონტროლის ქვეშ. ამიტომ, 100%-იანი გარანტიით ვერ ვიტყვი, იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო თავისუფალი არ არის. ისე კი, რა თქმა უნდა, ამ საქმეს ნათია კაპანაძე მოიგებს.

***— ხომ არ გაქვთ მოლოდინი, რომ ეს კიდევ ერთი რეზონანსული საქმე გახდება და სასამართლო სისტემის კიდევ ერთხელ გაშიშვლებასაც გამოიწვევს?***

— ნებისმიერი პროცესი სასამართლოს გაშიშვლებას იწვევს, მაგრამ „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი მაინც მიიწევენ უფრო და უფრო წინ. ჩვენ კიდევ ამ პროცესების პარალელურად თვალს ვადევნებთ, როგორ მიდის სასამართლოს მთლიანად და ხანგრძლივი დროით ხელში ჩაგდების პროცესი.

***— მისი იმპიჩმენტი ასევე მოითხოვა ნაციონალური მოძრაობის კვოტით არჩეულმა წევრმა. ეს თქვენთვის რას ნიშნავდა? რა თამაშია ეს, რას უკავშირდება ასეთი გადაწყვეტილება?***

— არაფერი თამაში არ არის ეს. ადამიანები თავიანთ პოზიციებს იცვლიან. ეს ადამიანი 5 წლის წინ იქნა არჩეული ნაციონალური მოძრაობის კვოტით, მაგრამ ცნობილია, რომ დღეს ის „ქართული ოცნების“ ინტერესებს უფრო ატარებს, ვიდრე ოპოზიციური პარტიების, იგულისხმება ნებისმიერი ოპოზიციური პარტია. აქ არაფერი გასაკვირი არ არის.

***— ანუ მისი გადაბირება მოხდა, ხელების გადაგრეხა თუ რა პროცესი იყო?***

— არ ვიცი. შეთქმულების თეორიებზე ვერ ვისაუბრებ, მე არ მაქვს კონკრეტული ინფორმაცია ამ თემაზე. მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს ადამიანი ოპოზიციურად და კრიტიკულად აღარ არის „ქართული ოცნების“ მიმართ განწყობილი, როგორც ჩანს, შეიცვალა მან პოზიცია.

***— ზოგადად პოლიტიკური პროცესი როგორ წარმოგიდგენიათ მედიის თვალსაზრისით უახლოეს მომავალში?***

— არ ვიცი. პოლიტიკური შეფასებების კეთება არ მინდა. ერთი რამე შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან ცუდად წარმომიდგენია. 2020 წლისთვის ბიძინა ივანიშვილი გააკეთებს ყველაფერს და უკვე აკეთებს, რომ მედია, სასამართლო... ყველა ეს მთავარი ინსტიტუცია მთლიანად ხელში ჩაიგდოს და შემდეგ 2020 წლის არჩევნები ისევე გააყალბოს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე იყო 2018 წლის არჩევნები და ასეთი გაყალბებული გზით დარჩეს ხელისუფლებაში.

**„პოლიტიკური შეფასებების კეთება არ მინდა. ერთი რამე შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან ცუდად წარმომიდგენია. 2020 წლისთვის ბიძინა ივანიშვილი გააკეთებს ყველაფერს და უკვე აკეთებს, რომ მედია, სასამართლო... ყველა ეს მთავარი ინსტიტუცია მთლიანად ხელში ჩაიგდოს და შემდეგ 2020 წლის არჩევნები ისევე გააყალბოს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე იყო 2018 წლის არჩევნები და ასეთი გაყალბებული გზით დარჩეს ხელისუფლებაში“**

***— ნათია კაპანაძის გადაყენება ამას უკავშირდება, რომ არჩევნებისთვის მედია მნიშვნელოვანია და მასზე კონტროლის დამყარება უნდა?***

— რა თქმა უნდა. ზუსტად მაგაზე ვსაუბრობ, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ბიძინა ივანიშვილი მთლიანად ისუფთავებს სივრცეს და ნელ-ნელა ყველა ტელევიზია მიაქვს. ეს იმისთვის, რომ რაც შეიძლება ბევრ მედიასაშუალებაზე ჰქონდეს გავლენა.

ნათია კაპანაძის იქ არსებობა ბიძინა ივანიშვილს არ აწყობდა და ზუსტად ამ მიზნით გადადგმული ნაბიჯი მგონია მე.

***— ნათია კაპანაძეს 6 თვე ჰქონდა დარჩენილი გენერალური დირექტორის პოსტზე ვადის ამოწურვამდე. 6 თვით ადრე იმპიჩმენტის გამოცხადება რა ფენომენია?***

— იმიტომ, რომ 6 თვით ადრე მოისუფთავა სივრცე. 6 თვის შემდეგ მოახლოებული იქნება არჩევნები და პირდაპირ არჩევნებს დაუკავშირდებოდა ეს თემა. ახლა ვითომ არჩევნებს რომ არავინ დაუკავშიროს ეს თემა, ამიტომაც ახლა გადადგეს ეს ნაბიჯი.

სხვა გამართლება და ახსნა ამ გადაწყვეტილების მიღებას არ გააჩნია.

# გაზრდილი ბიუროკრატია მცირე ბიზნესისთვის წინაღობად არის ქცეული

ფინანსები, პროდუქტის ცნობადობის ამაღლება უცხოურ ბაზარზე, დაბალი კრედიტი — ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაც დღეს ქართველ მცირე მეწარმეებს პრობლემებს უქმნის და რაშიც ისინი ხელისუფლების მხრიდან დახმარება საჭიროებენ. თუმცა, როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებენ, მცირე ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის კომუნიკაციის პრობლემაა, გაზრდილი ბიუროკრატია წინაღობადაა ქცეული, რაც მცირე ბიზნესის განვითარებას აფერხებს.

ავეჯის მწარმოებელი „კასა ვერდეს“ მფლობელი დავით ბაჩილავა „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ სახელმწიფომ ადგილობრივი ბიზნესი უნდა დაიცვას უცხოური აგრესიული ბიზნესისგან, ეს კი ხელისუფლების მეტი ჩართულობითა და ბიზნესთან ახლო კონტაქტით არის შესაძლებელი, რაც დღეს დეფიციტია.

— აუცილებელია მთავრობასა და ბიზნესს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდეს. სახელმწიფომ ადგილობრივი ბიზნესი უნდა დაიცვას უცხოური აგრესიული ბიზნესისგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უცხოურს დიდი ბარიერები უნდა შევუქმნათ. იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს მიერ გამომუშავებული თანხები ისევ ჩვენს ქვეყანაში რჩება, უცხოელებისგან განსხვავებით. ამიტომ უნდა ინტერესდებოდეს მთავრობა ჩვენით. ქართული სინამდვილიდან გამომდინარე, დღეს ბევრს აქვს საშუალება საკუთარი პროდუქტი წარადგინოს უცხოურ ბაზარზე, იმდენად დახვეწილ პროდუქტს ვქმნით, აი ამ ნაწილში სჭირდება სახელმწიფოს დახმარება ქართულ ბიზნესს, რომ რაც შეიძლება ფართო მასშტაბებზე გავიდეთ. თუნდაც ინფორმაციის მოძიება, სხვადასხვა გამოფენებსა და ტენდერებში მონაწილეობისთვის ხელშეწყობა, იმისთვის რომ ბევრმა ადამიანმა ნახოს ჩვენი საქონელი — ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და სწორედ ამ ნაწილში გვჭირდება სახელმწიფოს დახმარება. მცირე ბიზნესს ამ მიმართულებით პრობლემა აქვს, უცხოელ ინვესტორებს კი მეტი ხელშეწყობა. ისეთი უცხოური ინვესტიციებით აჯერებენ ქართულ ბაზარს, რისი გაკეთება ჩვენც ვიცით და ადგილობრივ მდგომარეობასაც უკეთ ვიცნობთ. თუ ინვესტორი შემოდის და ის იწყებს მიკროელემენტების წარმოებას ან მზის ფოტოელემენტების, ამას ჩვენ ვერ გავაკეთებთ? ეს არის სიახლე და არა პირობითად ქვევრში ღვინის დაყენება. თავის დროზე მე მქონდა გიორგი ქობულიასთან შეხვედრა. სასიხარულოა, რომ იგი დაინტერესდა ადგილობრივი ბიზნესით, მაგრამ ამის შემდეგ არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია. აი ამ პრობლემაზე ვსაუბრობ, საქმე მიდის მხოლოდ მოლაპარაკების დონეზე და რეალურად ქმედითი ნაბიჯები ხელისუფლებიდან არ იდგმება. მათგან მივიღეთ „შენიშვნა“, რომ დასაქმებულებს განათლების ნაკლებობა აქვთ. პირადად ჩემთან, დასაქმებულს არ სჭირდება მაღალი დონის განათლება. მთავარი, საკუთარი საქმის პროფესიონალი მუშახელია. დიპლომების ფრიალს, სჯობს ჩვენი საქმე ვიცოდეთ გამართულად და შეგვეძლოს პროდუქტის შექმნა, — ამბობს დავით ბაჩილავა.



მთავრობასა და მცირე ბიზნესს შორის დიალოგის დეფიციტზე საუბრობს „კომერსანტთან“ შესაფუთი მასალების „აწარმოე საქართველოში“ ხელმძღვანელი პაატა აბრამიაც. მცირე მეწარმეების ყველაზე მწვავე პრობლემა, ფინანსური რესურსის ნაკლებობა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლაა, რასაც სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი.

— მთავრობასა და ბიზნესს შორის კონტაქტი, ბიზნესის განვითარებას ხელს შეუწყობს. ჩვენდამი მთავრობის პოლიტიკის შეცვლა აუცილებელია, რომ ბიზნესმა მოახერხოს გრძელვადიან გეგმებზე მუშაობა და სტრატეგიული ინვესტიციები განახორციელოს საკუთარ საქმეში. აუცილებელია დიალოგი, რომლის დეფიციტი მცირე ბიზნესს აქვს. გაზრდილი ბიუროკრატია ჩვენთვის წინაღობადაა ქცეული. მცირე იქნება, დიდი თუ უბრალოდ დამწყები ბიზნესი, მთავრობის მხრიდან საჭიროებს კოორდინაციას. პირადად მე საჭიროებიდან გამომდინარე ბიზნესომბუდსმენთანაც მქონია შეხვედრა და გადამიჭრია გარკვეული პრობლემა. მაგრამ არიან მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც ვერ ახერხებენ ასეთი ფორმატის შეხვედრებს. ამ მიმართულებით მთავრობაც და ბიზნესომბუდსმენის მხარე უნდა გააქტიურდეს. ფინანსური რესურსის ნაკლებობა, შეღავათიანი კრედიტები თუ უბრალოდ სარეალიზაციო ბაზრის მოძიება, ამ მიმართულებით ძალიან უჭირს მცირე ბიზნესს. დღეს კი იქმნება პროგრამები და ვნახოთ როგორ იმუშავებს საქმეში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც სახელმწიფოს აქტიურობაზეა დამოკიდებული, — აცხადებს პაატა აბრამია.

ბიზნესის წარმომადგენლებსა და მთავრობას შორის კომუნიკაციის პრობლემაზე საუბრობს ბიზნესომბუდსმენიც. „კომერსანტთან“ საუბრისას ირაკლი ლექვინაძემ კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა, დაეხმაროს ბიზნესმენებს ხელისუფლებასთან კომუნიკაციაში.

— ნებისმიერ მომართვასა და ნებისმიერ შეხვედრას, რომელიც სჭირდება ბიზნესს, იქნება ეს ასოციაციის ფორმატში ან კერძო ორგანიზაციის ფორმატში, მზად ვართ ვუშუამდგომლო ხელისუფლებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს აქვს პირდაპირი კომუნიკაცია, სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან და პირველ პირებთან, მაინც ბევრი შეხვედრა გაგვიმართავს, როგორც პრემიერთან ასევე სხვა მინისტრებთანაც. ჩვენი შუამდგომლობით დაწყებული საქმეები დაგვისრულებინა კარგი შედეგით და მზად ვართ, კიდევ გავაგრძელოთ ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა, — აღნიშნავს ირაკლი ლექვინაძე.

**კომერსანტი**

# მინერალური და მტკნარი წყლის ექსპორტი 31%-ით გაიზარდა



2019 წლის 2 თვეში ქართული მინერალური და მტკნარი წყლის ექსპორტი, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 31%-ით გაიზარდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის იანვარ-თებერვალში სულ 20,798 მლნ ლიტრი პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა, რაც ფინანსური მაჩვენებლებით 13,741 მლნ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს — 27,233 მლნ ლიტრი, რაც თანხობრივად 17, 851 მლნ დოლარია.

რაც შეეხება ექსპორტიორ ქვეყნებს, 2018 წლის იანვარ-თებერვალში მინერალური და მტკნარი წყალი გავიდა: რუსეთში — 10,870 მლნ ლიტრი ( 6,48 მლნ დოლარი), უკრაინაში — 3,585 მლნ ლიტრი (1, 807 მლნ დოლარი), ლიეტუვაში — 3, 337 მლნ ლიტრი (2,332 მლნ დოლარი), ბელორუსში — 1, 692 მლნ ლიტრი (1,055 მლნ დოლარი), ყაზახეთში — 336 ათასი ლიტრი (296,9 ათასი დოლარი), აზერბაიჯანში — 200,7 ათასი ლიტრი (117,8 ათასი დოლარი), ისრაელში 177,8 ათასი ლიტრი (122,3 ათასი დოლარი), აშშ-ში — 156,8 ათასი ლიტრი (110,4 ათასი დოლარი), ჩინეთში — 143 ათასი ლიტრი (31,9 ათასი დოლარი), ყირგიზეთში — 40,4 ათასი ლიტრი (41,3 ათასი დოლარი).

გარდა ამისა, 2018 წელს იანვარ-თებერვალში პროდუქციის ექსპორტი ასევე განხორციელდა: ტაჯიკეთში, საბერძნეთში, მოლდოვაში, სომხეთში, გერმანიაში, იაპონიაში, თურქეთში, კვიპროსში, ბულგარეთში, ლატვიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში.

საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის იანვარ-თებერვალში ქართული მტკნარი და მინერალური წყალი გავიდა: რუსეთში — 14, 224 მლნ ლიტრი (10, 164 მლნ დოლარი), უკრაინაში — 5,900 მლნ ლიტრი (2, 944 მლნ დოლარი), ლიეტუვაში — 3,223 მლნ ლიტრი (2,133 მლნ დოლარი), ბელორუსში — 2,207 მლნ ლიტრი ( 1,412 მლნ დოლარი), ყაზახეთში — 360,9 ათასი ლიტრი (219,5 ათასი დოლარი), უზბეკეთში — 339,9 ათასი ლიტრი (324,2 ათასი დოლარი), ისრაელში — 231,4 ათასი ლიტრი (157,6 ათასი დოლარი), აშშ-ში — 178,2 ათასი ლიტრი (90,3 ათასი დოლარი), აზერბაიჯანში — 136,5 ათასი ლიტრი (67,5 ათასი დოლარი), ყირგიზეთში — 101,6 ათასი ლიტრი ( 82,4 ათასი დოლარი); მიმდინარე წელს პროდუქცია ასევე გავიდა: თურქმენეთში, მოლდოვაში, ტაჯიკეთში, საბერძნეთში, კანადაში, გაერთიანებულ სამეფოში, სომხეთში, გერმანიაში, ჩინეთში, იაპონიაში. რაც შეეხება 2017 და 2018 წლების მთლიან მაჩვენებელს, 2017 წელს სულ ჯამში, 147, 223 მლნ ლიტრი მინერალური და მტკნარი წყალი გავიდა, რაც ფინანსური მაჩვენებლებით 95,776 მლნ დოლარს შეადგენდა, 2018 წელს კი — 172,006 მლნ ლიტრი, რაც თანხობრივად 110,176 მლნ დოლარია.

**BPN**

# პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნება“ ციდან მიწაზე ჩამოვარდა და ბანალური პარტია გახდა“

## „ივანიშვილმა ვერ დაიჯერა, რომ წარმატებული ბიზნესმენი, შესაძლოა, სუსტი პოლიტიკოსი გამოდგეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** პასუხობს.

***— ბატონო პაატა, ძალიან აირია „ოცნებაში“ მონასტერი. რა ხდება?***

— უკვე დიდი ხანია, არეულია. თვითმფრინავს მუდმივად სჭირდება საწვავი, რათა ჰაერში იყოს. როგორც კი საწვავი გათავდება, თვითმფრინავი ვარდება, ხოლო ავტობუსი, თუ საწვავი მთავრდება, ჩერდება.

***— საწვავი გაუთავდა „ოცნებას“?***

— დიახ და „ქართული ოცნება“, უბრალოდ, ციდან ჩამოვარდა მიწაზე და გახდა ბანალური, ტიპური ქართული პარტია. ის ოცნებები, ის იმედები, ის მოლოდინები, რომლებიც დაკავშირებული იყო „ოცნებასთან“ — ყველაფერი გაქრა და გახდა ბანალური, ტიპური პოსტსაბჭოთა პარტია.

მეორე მსოფლიო ომიდან 25 წლის შემდეგ ევროკავშირის საფუძვლები ჩაიყარა, ფრანგები და გერმანელები შერიგდნენ, მანამდე სულ სხვა ევროპა იყო. ჩვენთან 25 წელი გავიდა და იმაზე ვმსჯელობთ, მურუსიძე კარგი მოსამართლეა თუ ცუდი. არ შეგვიძლია საკითხების გადაწყვეტა.

არ ვართ ჩვენ დემოკრატიული ხალხი. ყველა ჩემი იმედი, რომლებიც მქონდა 90-იან წლებში, რომ საქართველო იქნებოდა სრულიად სხვა, ყველაფერი ორთქლდება და ხდება ჩვეულებრივი, ტიპური, ბანალური პოსტსაბჭოთა სახელმწიფო.

***— რატომ ვერ შევძელით, შევმდგარიყავით დემოკრატიულ სახელმწიფოდ?***

— როგორც კი დაიშალა რუსეთის იმპერია 1918 წელს, ჩვენში გაჩნდა მთელი პლეადა გიგანტი პოლიტიკოსებისა: ჩხენკელი, წერეთელი, ჟორდანია და კიდევ ხუთი-ექვსი გვარის დასახელება შეიძლება ფანტასტიკური პოლიტიკოსებისა.

ბოლშევიკების დროს ფანტასტიკური არა, მაგრამ საკმაოდ ძლიერი პოლიტიკოსები იყვნენ სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია, ანუ საქართველო თავისი წიაღიდან შობდა გიგანტ პოლიტიკოსებს, რომლებიც იმპერიებს მართავდნენ. რუსეთის იმპერიამ კი საერთოდ მოსპო ქართველ ხალხში სახელმწიფოებრივი აზროვნება. კომუნისტურმა რეჟიმმა ეს მოსპო და დღეს ჩვენ ვართ ტიპური, ბანალური, დაბალი კლასის პოლიტიკური საზოგადოება.

კულტურა და ლიტერატურა მშვენიერი გვაქვს, ხოლო პოლიტიკური კულტურა აღმოგვაჩნდა ძალიან მდარე. ერთია, რომ ასეთი ხარ და მეორეა, რომ ჩვენ ამის გაგება არ გვინდა! არ გვინდა, სიმართლეს თვალებში შევხედოთ.

***— რას იტყვით ივანიშვილზე? რატომ დაშორდნენ ერთმანეთს გუნდი და ლიდერი? აღარავის ენდობა?***

— მე ყველაზე მეტად გული ბიძინა ივანიშვილზე მწყდება. ახლოს ვიცნობ, პატივს ვცემდი და პიროვნულად დღესაც პატივს მცემ, იმიტომ, რომ ჩემი პირადი ურთიერთობები მასთან რაც



იყო, იმის უფლებას არ მაძლევს, გადავაფასო ის ურთიერთობები. ადრე ის ძალიან ალალი ადამიანი იყო, როცა პრემიერი გახდა და სათავეში ჩაუდგა „ქართულ ოცნებას“.

***— მერე რა შეიცვალა?***

— ძალიან რთული სათქმელია, მაგრამ მას მოუვიდა ბანალური სიჯიუტე და ბანალური გაბრაზება, რომ როგორ, სხვები როგორ არიან ჩემზე მართლები?!

ლიტიკური ხედვებისა, შეიძლება იყვნენ ასეთი მართლები.

მართლები აღმოჩნდნენ არა მარტო მისი გუნდის წევრები, არამედ მისი მოწინააღმდეგეებიც.

***— კერძოდ?***

— იგივე ნაციონალური მოძრაობა, „ევროპული საქართველო“, რომელიც მას ეგონა, რომ გაანადგურა, სინამდვილეში თურმე გააძლიერა.

ჩაიხედოს თავის გულში ივანიშვილმა, ვინც კი ურჩევდა მას, რომ გავუშვათ თავისუფალი დემოკრატები, გავუშვათ რესპუბლიკელები, რაში გვჭირდება, მათ გარეშეც მშვენივრად ვმართავთ ქვეყანასო, სწორედ ის ხალხია გასაშვები, ისინი არიან მედროვეები, რომლებიც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობენ და არა სახელმწიფოზე.

დღეს ივანიშვილი რომც ფიქრობდეს სახელმწიფოს განვითარებაზე, მას რესურსი აღარ შერჩა.

***— აღარავინ ჰყავს გარშემო?***

— ყველა გაუშვა, ვისაც კი შეუძლია, სახელმწიფოს ემსახუროს. მასთან დარჩა ის ხალხი, ვისაც წასასვლელი არსად აქვს, ხოლო ვისაც სხვაგან წასვლა შეეძლო, ახალი კოალიციის შექმნა შეეძლო, ყველა წავიდა.

შენ თუ შუას კრეფ და მაგდებ, რატომ ჩავირეცხო, გავყვე დინებას? თუ ცურვა ვიცი, გავცურავ მეორე ნაპირზე. არ გინდა, რომ შენთან ვიყო? ვიქნები სხვასთან!

ყველა ის, ვინც მივიდა ნაციონალურ მოძრაობასთან, ვინც მივიდა „ევროპულ საქართველოსთან“, არის „ქართული ოცნების“ სინდისზე!



**„ბოლშევიკების დროს ფანტასტიკური არა, მაგრამ საკმაოდ ძლიერი პოლიტიკოსები იყვნენ სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია, ანუ საქართველო თავისი წიაღიდან შობდა გიგანტ პოლიტიკოსებს, რომლებიც იმპერიებს მართავდნენ. რუსეთის იმპერიამ კი საერთოდ მოსპო ქართველ ხალხში სახელმწიფოებრივი აზროვნება. კომუნისტურმა რეჟიმმა ეს მოსპო და დღეს ჩვენ ვართ ტიპური, ბანალური, დაბალი კლასის პოლიტიკური საზოგადოება“**

ის უცებ მიხვდა იმას, რომ ვინც ურჩევდა, მაგალითად, უსუფაშვილი და ამ ტიპის ადამიანები, რომ ასე კი არა, ასე გავაკეთოთ, თორემ მივიღებთ ამას, ის თავის თავზე გაბრაზდა, რომ ეს ხალხი როგორ აღმოჩნდა მასზე ჭკვიანი.

მე, ასეთი ფულის მფლობელი, ამხელა ბიზნესმენი, პოლიტიკაში როგორ აღმოვჩნდი სუსტი, ეს შეუძლებელია, დაუჯერებელია! — აი, ამ ტიპის აზროვნება აქვს მას.

***— ჯიუტი ადამიანია და არ ითვალისწინებს სხვის რჩევებს?***

— კი, კი, აშკარად ჯიუტია. იმდენად ჯიუტია, არ სჯერა, რომ სხვა სფეროში ასეთი წარმატებული ადამიანი პოლიტიკაში შეიძლება იყოს წარუმატებელი, ხოლო ვიღაც უფულო პოლიტიკოსები, რომლებსაც არაფერი აქვთ, გარდა პოლიტიკური ხედვებისა, შეიძლება იყვნენ ასეთი მართლები.

ჩემნაირი ადამიანები საერთოდ გვერდზე გადგნენ, უსუფაშვილი კი ახალ მესამე ძალას ქმნის, რომელიც არც იქითაა და არც აქეთ. ივანიშვილთან კი დარჩნენ ყველაზე უუნარო, ყველაზე უქნარა, ყველაზე მუქთახორა პოლიტიკოსები! პოლიტიკოსებსაც კი ვერ დაარქმევ მათ.

***— მესამე ძალა ახსენეთ, წინ 2020 წელია, საზოგადოებაში ძალიან დიდია მოთხოვნა მესამე ძალაზე, რას ელოდებით?***

— საზოგადოებაში ნამდვილად დიდი მოლოდინია, მაგრამ ჯერჯერობით რეალიზაცია ვერ ხდება. ახლა პირველი მცდელობა იყო „დაიცავი საქართველოს“ ყრილობა და ამის გამოვლინება. ჯერჯერობით კითხვა უფრო მეტია, ვიდრე პასუხი, ხელმოსაკიდი არაფერია.

სხვა მოძრაობებიცაა საჭირო, მეტი ახალგაზრდობაა საჭირო. „დაიცავი საქართველოს“ ტრიბუნაზე ახალგაზრდები გამოდიოდნენ, რაც მომეწონა, მაგრამ დარბაზში სულ ძველი თაობა იყო.

ახალი სახეებია საჭირო, სიახლეა საჭირო. მსოფლიო იცვლება, 21-ე საუკუნეა და იმ დარბაზში მე-20 საუკუნე იჯდა და არა — 21-ე საუკუნე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ნახეთ, რა ხდება უკრაინაში, იმდენად მიუღებელია მათთვის მე-20 საუკუნე, რომ ბრმად აძლევენ ხმას, ღმერთმა უწყის, ვის.

საქართველოშიც რომ გამოჩენილიყო ასეთი ვიღაცა, ხალხი მისცემდა ხმას, იმდენად მიუღებელია მისთვის ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“.

***— რა იქნება ამ ფონზე 2020-ში?***

— ძალიან საინტერესო მომენტია ის, რომ მხოლოდ 3%-იანი ბარიერი იქნება გადასალახი და შანსები იმისა, რომ „ოცნებისა“ და ნაციონალების გარდა სხვა პარტიებიც შევიდნენ, დიდია, რომლებიც ახალ კონტექსტსა და ახალ ურთიერთობებს შექმნიან შიგნით.

მრავალპარტიული პარლამენტი ძალიან კარგი იქნება. მოუთმენლად ველოდები 2020 წლის პარლამენტს, რადგან ის იქნება მრავალპარტიული პარლამენტი და ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებს, კანონები მიიღოს და ბიუჯეტი დაამტკიცოს, კონსტიტუციაზე ხომ ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია.

აი, სწორედ ეს იქნება ევროპული ტიპის ქვეყნის მშენებლობის დაწყება.

# აშშ-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში ღრმავდება

## აშშ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ერთვება

მარიამ მჭედლიშვილი

ნატო საქართველოსა და უკრაინის აქტიური მონაწილეობით აგრძელებს აქტიურობას შავ ზღვაზე. ნატოს წევრ ქვეყნებს შორის მიღწეული შეთანხმებით, შემუშავებულია ზომები ნატოს შავ ზღვაზე გასაძლიერებლად, ასევე, საქართველოსა და უკრაინისათვის დახმარების გასაზრდელად. საუბარია ამ ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნა-გაძლიერებაზეც.

პოლონელი ექსპერტების ინფორმაციით, ნატო თავის გავლენას შავი ზღვის რეგიონში გაზრდის ისე, რომ არ დაარღვიოს მონტრეს კონვენცია. ამ კონვენციით, არარეგიონის სახელმწიფოების სამხედრო გემებს ამ მიდამოებში ყოფნა 21 დღე-ღამით აქვთ შეზღუდული. დაგეგმილია ნატოს შტაბ-ბინის შექმნა რუმინეთში. ნატოს მეორე მუდმივი სამხედრო-საზღვაო დაჯგუფების



გემები ბოლო დროს იმყოფებოდნენ ფოთსა და ოდესაში.

აშშ-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში ღრმავდება. ეს კონფლიქტი მრავალმხრივია. ამას განაპირობებს მსოფლიოში, შავ ზღვაზე, ასევე მთელ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი რთული სიტუაცია.

„ფორინ პოლისის“ შეფასებით, რუსეთი ახლო აღმოსავლეთში, სხვა ამოცანებთან ერთად, ენერგეტიკულ ამბიციებს იკმაყოფილებს. კრემლი ყიდულობს მილსადენებსა და ნახშირწყალბადების საძიებო-დაზვერვითი სამუშაოების წარმოების უფლებას მთელ ახლო აღმოსავლეთში.

ეს ჩანს განსაკუთრებით თურქეთში, ერაყში, ლიბანსა და სირიაში. რუსეთს განზრახული აქვს ენერგოხიდის აგება ევროპის მიმართულებით. ასე რუსეთი გააძლიერებს ევროპის რუსულ გაზზე დამოკიდებულებას. დამოკიდებული ევროპა კი მოსკოვზე ზეწოლას ნაკლებად მოახდენს.

გამოცემა ამის საწინააღმდეგოდ ურჩევს აშშ-ის ადმინისტრაციას, გაააქტიუროს მუშაობა თავისი ენერგოპროექტების გასატარებლად და ითანამშრომლოს ევროპის სახელმწიფოებთან.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ ვაშინგტონი სულ უფრო მეტ ყურადღებას იჩენს. საქართველოსთან მიმართებით ჩამოყალიბებულია ორპარტიული ერთსულოვანი მხარდაჭერა, რაც გამორიცხავს მიდგომების შეცვლას ხელისუფლებების ცვლის შემთხვევაში.

სომხეთსა და აზერბაიჯანზე რუსეთის ზემოქმედების ერთ-ერთი საკითხი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტია. კრემლი ცდილობს, იყოს მოდერატორი ამ პროცესში. ითვლება, რომ სომხეთში ახლანდელი ხელისუფლების მოსვლამ რუსეთის ეს როლი საგრძნობლად შეასუსტა.

აშშ სთავაზობს სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო მინისტრებს, კონფლიქტის მოგვარების თემაზე მორიგი შეხვედრა ამერიკაში გამართონ, სადაც მათ გააცნობენ სახელმწიფო დეპარტამენტის წინადადებებს ამ საკითხზე.

ამერიკული ჯარების შემცირების მიუხედავად, როგორც ჩანს, აშშ რუსეთს ახლო აღმოსავლეთს არ უთმობს. ამაზე მიანიშნებს დონალდ ტრამპის მრჩევლისა და სიძის, ჯარედ კუშნერის ინიციატივები ახლო აღმოსავლეთის თაობაზე.

ამ იდეებს მუსლიმანური რამადანის დამთავრების შემდეგ, ივნისის ბოლოს გაასაჯაროებენ. ისინი ეხება პალესტინელების დაფინანსებას, ასევე იერუსალიმის სტატუსს. იერუსალიმის საკითხში თეთრი სახლი სიხისტეს აღარ იჩენს.

ევროპაში ყველა არ ეთანხმება რუსეთის დაბრუნებას ევროპის საბჭოში და მისთვის ხმის უფლების აღდგენას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში. ევროსასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი ლუციუს ვილდჰაბერი მედიასთან ინტერვიუში აცხადებს, რომ რუსეთი თავის დროზე, 1996 წელს, ევროპის საბჭოში არ უნდა მიეღოთ. ამას მოწინააღმდეგეები ჰყავდა, თუმცა დასავლეთი ოპტიმისტურად იყო განწყობილი და ამაზე წავიდა. მისი ინფორმაციით, კრემლი თავიდანვე ერეოდა ადამიანის უფლებათა სასამართლოს ყველა წვრილმანში და სასამართლოზე ცდილობდა ზეწოლის მოხდენას.

რუსეთი კავკასიასა და უკრაინას არ ეშვება. კრემლთან დაახლოებულ რუს ექსპერტებს ბოლო ხანს პანიკა აქვთ ატეხილი საქართველოსა და უკრაინის ევროატლანტიკური კურსის, ასევე სომხეთისა და აზერბაიჯანის ნატოსთან თანამშრომლობის გამო.

ეს პანიკა, როგორც ჩანს, გაგრძელდება და, ამა თუ იმ ფორმით, საქართველოში გადმოინაცვლებს.

# „შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, ჯიბისა და ტელეფონის სასამართლო ვერ მოვიშორეთ“

## თამარ ლალიაშვილი: „თუ ჩვენი ქვეყანა გვიყვარს, ვენეციის კომისიამ რა რეკომენდაციებიც მოგვცა, უნდა გავითვალისწინოთ“

გულიკო ბალაძე

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე **თამარ ლალიაშვილი** „ახალ თაობასთან“ „საერთო სასამართლოების შესახებ კანონში“ შესატანი ცვლილებების საპარლამენტო განხილვებსა და ამ საკითხზე ვენეციის კომისიის დასკვნას აფასებს.

***– ქალბატონო თამარ, მოგეხსენებათ, პარლამენტში განიხილებოდა „საერთო სასამართლოების შესახებ კანონში“ შესატანი ცვლილებები. ცვლილებების აუცილებლობა გამოიწვია უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების დანიშვნის პროცესმა და მასთან დაკავშირებულმა შეუთანხმებლობამ, აურზაურმა და საერთოდ, სასამართლო ხელისუფლებაში არსებულმა მდგომარეობამ. ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა თავისი რეკომენდაციები. როგორია თქვენი შეფასებები?***



– ვენეციის კომისიამ აბსოლუტურად სწორი შეფასება მისცა ყველაფერს, რაც დღევანდელ რეალურ ვითარებაში არსებობს საქართველოში, ანუ მან სწორი შეფასება მისცა ფაქტობრივ გარემოებებს. მათ შეისწავლეს სასამართლოში არსებული მდგომარეობა, თვალს ადევნებდა მიმდინარე პროცესს. ისინი იძლევიან რჩევას, რეკომენდაციას.

რადგან ხელისუფლება ამბობს, რომ გვინდა ვიყოთ ევროპასთან ასოცირებული, ვენეციის კომისია ფიქრობს, რომ ქვეყნის სასამართლო უნდა აკმაყოფილებდეს ევროსტანდარტებს. ვენეციის კომისიის დასკვნიდან ჩანს, რომ ისინი ძალიან კარგად იცნობენ რეალურ ვითარებას. ვენეციის კომისია ამბობს, რომ იუსტიციის საბჭო, რომელიც სამართლებრივად სწორი ორგანოა და მოსამართლეების შერჩევის უფლება აქვს, რეალურად, ძალიან დაბალი რეიტინგით სარგებლობს. ამიტომ არ შეიძლება, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატურები სრულიად მათ შეარჩიონ და უზენაესი სასამართლო სრულად მათ დააკომპლექტონ.

პარალელურად, ხაზს უსვამენ, რომ მნიშვნელოვანია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სრული დაკომპლექტება არჩევნების წინ არსებული პარლამენტის მიერ არ მოხდეს.

***– ვენეციის კომისიის მხრიდან ეს ერთგვარი პოლიტიკური დაკვეთა არ არის?***

– ბუნებრივია. გარკვეულწილად, ვენეციის კომისია ასეთ დასკვნებს იძლევა. მხოლოდ ქაღალდზე დაწერილს რომ აფასებდეს, მაშინ რა საჭირო იქნებოდა ასეთი კომისიის არსებობა. ჯერ ერთი, ის ქაღალდზე დაწერილიც არ არის სრულყოფილი. ეს ვენეციის კომისიამაც თქვა – ქაღალდზე დაწერილი სწორი და სრულყოფილი არ არისო.

თუ ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვიყვარს, ვენეციის კომისიამ რა რეკომენდაციებიც მოგვცა, უნდა გავითვალისწინოთ. კომუნისტებისა და შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, ჯიბისა და ტელეფონის სასამართლო ვერ მოვიშორეთ. კომუნისტების დროიდან ტელეფონის სასამართლო რომ იყო, იგივეა დღესაც.

***– ჯიბის სასამართლო სააკაშვილის დროს იყო.***

– დიახ, ჯიბის სასამართლო სააკაშვილის დროს იყო. ვენეციის კომისიის დასკვნაში ჩვენს რეალურ ცხოვრებაში ყველა მტკივნეულ საკითხს აშუქებენ არგუმენტირებულად, დასკვნებს აფუძნებენ ფაქტებზე და მერე გვეუბნებიან, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ მივიღოთ ჯიბისა და ტელეფონის სასამართლო, არ მივიღოთ ის სიტუაცია, რის გამოც შეიცვალა სააკაშვილის ხელისუფლება 2012 წელს.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ იუსტიციის საბჭო ძალიან დაბალი რეიტინგით სარგებლობს.***

– დიახ, ყველამ კარგად იცის, ვინ არიან საბჭოს წევრები და როგორ მუშაობენ.

***– მაშინ გამოდის, იუსტიციის საბჭო უნდა იქნეს დათხოვნილი, რათა სასამართლო ხელისუფლება გაჯანსაღდეს.***

– იუსტიციის საბჭოს წევრები უნდა შეიცვალონ, რაც თავისთავად მოხდება. მათ უფლებამოსილების ვადა ეწურებათ, პარლამენტიც შეიცვლება. ეს ისეთი მოვლენებია, რომლის მხოლოდ პროგნოზირება შეიძლება, მაგრამ ამ საკითხების გადაჭრა სამართლებრივად, სწორი სამართლებრივი ბერკეტებით შეიძლება.

მურუსიძის საქმიანობას უნდა მიეცეს შეფასება. მურუსიძე დიდი ხნის წინ უნდა დასჯილიყო თავისი ქმედებებისა და იმ განცხადებებისთვის, რომლებსაც ის დღეს აკეთებს. თუმცა, ვხედავთ, რომ ხელისუფლება თავისი აქტიური ძალებით მურუსიძეს ტაშს უკრავს, რაც ძალიან გაუგებარი და მტკივნეული ხდება ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, რომელთა მიმართ მურუსიძემ იმდენი უსამართლობა ჩაიდინა.

***– იუსტიციის საბჭო ძალაუნებურად გაჯანსაღდებაო, ამბობთ, მაგრამ...***

– ისინი უნდა წავიდნენ, მაგრამ მათი ჩანაცვლება ისეთი კანდიდატურებით კი არ უნდა მოხდეს, რომ იგივე სისტემა შეიქმნას. სასამართლო მარწუხებისაგან უნდა გათავისუფლდეს. მოსამართლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ დამოუკიდებელნი არიან.

***– იუსტიციის საბჭოს გადახალისებამდე უზენაესი საბჭოს დაკომპლექტების პროცესი რომ იწყება? მთელ ამ პროცესს არსებული იუსტიციის საბჭო უდგას სათავეში. მაშინ რა გამოდის? ისევ ისინი აკომპლექტებენ, ვისაც დაბალი რეიტინგი აქვს.***

– ზუსტად ამას ამბობს ვენეციის კომისია – ასეთ ვითარებაში არ შეიძლება, უზენაესი სასამართლო დაკომპლექტდესო. ცოტა მოიცადეთ და ეს არჩევნების შემდგომმა პარლამენტმა გააკეთოს, არ შეიძლება, ერთმა პარტიამ დანიშნოს მოსამართლეები. პრაქტიკულად, ერთპარტიულობა გვაქვს. ერთი პარტია იღებს გადაწყვეტილებას, რაც კარგი არ არის. ეს ხდებოდა კომუნისტების დროს, შევარდნაძის დროს, სააკაშვილის დროს.

ადამიანებმა უნდა გავიაზროთ, რომ ერთპარტიულობას კარგი არაფერი მოაქვს. ერთი პარტიის მიერ მოსამართლეების დაკომპლექტება ნიშნავს, რომ ისინი ისეთ კანდიდატურებს წარადგენენ, რომლებიც მათი ერთგული არიან. ეს ერთგულებაც რაღაცით გამოიხატება. ნაციონალებსაც ეგონათ, სასამართლო კორპუსი მათი ერთგული იყო, მაგრამ, როგორც კი სხვა ხელისუფლება მოვიდა, რაც დაემართათ, დაინახეს. როგორც კი სხვა ხელისუფლება მოვა, იგივე მურუსიძე, იმ სხვა ხელისუფლებას გამოუცხადებს ერთგულებას, აგერ აღვირში შებმული სასამართლო მაქვს და თქვენ საითაც მიმითითებთ, იქით წავიყვანო. დღეს სასამართლო აღვირახსნილი ადამიანების მიერ აღვირამოდებულია.

***– ქალბატონო თამარ, უზენაეს სასამართლოში 28 მოსამართლე უნდა იყოს. ახლა 8 მოსამართლეა. ითქვა, რომ თუ პარლამენტი არ დააკომპლექტებს, სასამართლოს პარალიზება მოხდება.***

– უზენაესი სასამართლო აქამდეც ასე მუშაობდა. ორი წელია, ჩემი და კიდევ რამდენიმე კანდიდატურა პარლამენტში წარდგენილია. საქმე არ მიიყვანეს იქამდე, რომ კენჭი ვეყაროთ. ორი წლის განმავლობაში ერთხელაც არ უთქვამთ, უზენაეს სასამართლოს უჭირსო. როცა თავიანთი კანდიდატების წარდგენა მოუნდათ, მაშინ დაიწყეს ლაპარაკი, თურმე უზენაეს სასამართლოს უჭირს. უზენაესი სასამართლო ორი წელია, იმავე შემადგენლობით მუშაობს.

ორი წლის წინაც 8 მოსამართლე ჰყავდათ და დღესაც 8 მოსამართლე ჰყავთ. ასეთი უსამართლო განცხადებები ძალიან მძიმე მოსასმენია, განსაკუთრებით ჩემთვის, ჩემი კოლეგებისა და ახლობლებისთვის, ვინც იცის, რა ხდება. პარლამენტის არც ერთ წევრს არ ახსოვდა, უზენაეს სასამართლოში 8 მოსამართლის მეტი რომ არ ჰყავდა. მაშინ არ აინტერესებდათ. მათ არ უნდათ ჩემი დანიშვნა, ის უნდათ, ვისაც მურუსიძე წარადგენს.

***– სულ რამდენიმე რეკომენდაციას ითვალისწინებენ, მათ შორის, უზენაეს სასამართლოში წარსადგენი კანდიდატურებისთვის საკვალიფიკაციო გამოცდების მოხსნას. თქვენი აზრით, როგორი კვალიფიკაციის კანდიდატურები უნდა შეირჩნენ?***

– როდესაც ქვეყანას სამეცნიერო წრეებში ჰყავს გამორჩეული პროფესორები, მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტები, რაც დასტურდება მათ მიერ დაწერილი წიგნებით, სტატიებით, საჯარო დისკუსიებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, სხვადასხვა დიპლომით, არ არის სავალდებულო, ამ ადამიანებმა თავიანთი კვალიფიკაცია გამოცდებზე ამტკიცონ.

***– არსებულ ვითარებაში უზენაესი სასამართლოს ნაწილი რომ დაკომპლექტდეს?***

– მე მიმაჩნია, რომ სჯობს, უზენაესი სასამართლო ახლა არ დაკომპლექტდეს. არსებობს სინდისი, კეთილსინდისიერება. თუ პარლამენტის წევრები ამას უგულებელყოფენ და მურუსიძე-ჩინჩალაძისა და მათი კლანის მიერ წარდგენილ კანდიდატურებს ხმას მისცემენ, ეს არის ქვეყნის ტრაგედია. არ შეიძლება სასამართლოში ისეთი ადამიანები დატოვება ან მოხვედრა, რომლებიც თავიანთი გამოცდილებით კი არ აღმოჩნდნენ სასამართლო ხელისუფლებაში, არამედ ვიღაცის სურვილით გზა უნდა გაეხსნათ კვალიფიციურ ადამიანებს. თუ ისე მოხდება, რომ მე ვიღაც სადღაც დამსვამს, მე კანონის მორჩილი კი არა, იმის მორჩილი ვიქნები, ვინც დამსვა კონკრეტულ თანამდებობაზე. ამიტომ კლანი ყველა შემთხვევაში ისე მოიქცევა, როგორც ნორმალური მოსამართლე არ უნდა იქცეოდეს. ამიტომ ამაში ტრაგედიას ვხედავ, რადგან, როცა მე უფლების დაცვა დამჭირდება, ჩემს უფლებას არ დაიცავენ, დაარღვევენ.

***– ვენეციის კომისიის რეკომენდაციებიდან რომელი მიგაჩნიათ აუცილებლად გასათვალისწინებლად?***

– მე-16, მე-17, მე-18 პუნქტები ძალიან მნიშვნელოვანია, რომლითაც ვენეციის კომისია იძლევა რეკომენდაციას, რომ არ შეიძლება, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ერთმა პარტიამ დანიშნოს, არ შეიძლება, არსებული იუსტიციის საბჭოს მიერ დაინიშნოს მხოლოდ. ასევეა ის კრიტერიუმები, რომლებსაც სამართლებრივ შეფასებას აძლევენ.

***– პარლამენტში მყოფი პარტიებიც თუ დაუჭერენ მხარს, ვთქვათ, ოპოზიცია?***

– არა მგონია, ოპოზიციამ მხარი დაუჭიროს. მურუსიძე-ჩინჩალაძის კლანს ყველა ებრძვის. ნაცმოძრაობამ და ევროპულმა საქართველომ არ იციან, რას აკეთებდნენ? გიგა ბოკერიას მოსამართლეები სათათბირო ოთახიდან გამოჰყავდა და ისე აძლევდა მითითებებს, ეს გადაწყვეტილება მიიღეთო. საბოლოო ჯამში, თვითონ მოიმკეს ის, რაც დათესეს. სამწუხარო ის არის, მარტო ნაციონალებმა კი არ მოიმკეს თავიანთი ნამოქმედარით, ჩვენ ყველამ მოვიმკეთ და იმის მსხვერპლი გავხდით.

***– პარლამენტის სხდომაზე აღნიშნეს, რომ იუსტიციის საბჭოს ხელში მოქცეულია დიდი უფლებამოსილებები. ზოგადად, კარგი კადრებიც რომ იყოს და კლანიც არ იყოს სასამართლო ხელისუფლებაში, რამდენად მიზანშეწონილია ერთი ორგანოს ხელში განუსაზღვრელად დიდი უფლებამოსილებების მოქცევა?***

– კარგი კადრებიც რომ იყოს და კარგადაც მუშაობდნენ, მაინც პრობლემაა. სამწუხარო ის არის, რომ პარლამენტის არჩეული იუსტიციის საბჭოს წევრები კლანთან გაერთიანდნენ. მხოლოდ ორი წევრი დარჩა თავისუფალი ნების, ანა დოლიძე და ნაზი ჯანეზაშვილი, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებიან.

სისტემები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. რაც უნდა კარგი კანონი გქონდეს, თუ ცხოვრებაში სწორად არ გაატარე, მაინც მოხდება დამახინჯება. პოლიტიკური ნება თუ არ არის და ადამიანები პრინციპულები არ არიან, როგორი კარგი კანონიც უნდა დაწერო, სასიკეთო შედეგს ვერ მიაღწევ.

***– უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, უზენაეს სასამართლოში დანიშვნაზე თქვენ უარი რატომ გითხრეს?***

– არც არავითარი არგუმენტი არ დაუსახელებიათ. არაერთხელ მიმართეს, რატომ ამბობდნენ უარს, მაგრამ გვიპასუხეს, პარლამენტს ამის თქმა არ ევალებაო. შესაბამისად, არც კი გვითხრეს, არც უარი. ერთადერთი, ვოლსკის ინტერვიუში განაცხადა, ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, უარს რატომ ვეუბნებით, რადგან მაღალი რანგის პროფესიონალები არიან და, კარიერაში ხელი რომ არ შეეშალოთ, უარის მიზეზს არ ვამბობთო. ასეთ უპასუხისმგებლობაზე რა შეიძლება ითქვას.

***– როგორც ვიცი, თქვენ მოიგეთ სასამართლო პროცესი სტრასბურგში. სარჩელი თქვენი უზენაესი სასამართლოდან უკანონო დათხოვნას შეეხებოდა. სტრასბურგმა რა დაადგინა?***

– სტრასბურგმა დაადგინა, რომ ჩვენ უკანონოდ დევნილები ვიყავით, უკანონოდ გაგვათავისუფლეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობიდან და ჩვენ მიმართ დაარღვიეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპი.

***– თქვენ სამოსამართლეო გამოცდა ჩაბარებული გაქვთ?***

– დიახ, მე პირადად გამოცდა ჩავაბარე, მაგრამ მე სასამართლოს სამივე ინსტანცია გავიარე, მანამდე 9 წელი პროკურორი ვიყავი. პროკურორობამდე იუსტიციის სამინისტროში ვმუშაობდი. მე კარიერული პრინციპი თავიდან ბოლომდე გავიარე.

***– თქვენ რას ელოდებით?***

– არაფერს. რაც თვითონ უნდათ, იმას გაითვალისწინებენ, მაგრამ ამას მძიმე შედეგები მოჰყვება.

# ბიზნესი ნათია თურნავას საქართველოს ეკონომიკის რეანიმაციაში აქტიურ მონაწილეობას ურჩევს

რამდენიმე დღის წინ „ქართული ოცნების“ რიგით მეექვსე ეკონომიკის მინისტრმა გიორგი ქობულიამ თანამდებობა დატოვა. შესაბამისად, 7 წელიწადში ქვეყანას მეშვიდე ეკონომიკის მინისტრი ჰყავს. „კომერსანტი“ დაინტერესდა, რას ურჩევს ბიზნესი ეკონომიკის ახალ მინისტრ ნათია თურნავას.

ქუთაისის თიზ-ის (ჰუალინგი) ხელმძღვანელი სოსო ნიბლაძე ეკონომიკის მინისტრ ნათია თურნავას შემდეგ რჩევას აძლევს: მეტი კომუნიკაცია ბიზნესთან – „როგორც მრავალმხრივ ფორმატში ისე ორმხრივ ფორმატებში შეხვედრა. განსაკუთრებით პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად, რაც ამა თუ იმ ბიზნესსექტორს აწუხებს. ეს არის უდაოდ ყველაზე მნიშვნელოვანი თემა.

სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება – რეალურად, მოსმენასთან ერთად შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, რომ ესა თუ ის პრობლემა, რომელიც ბიზნესსექტორს აწუხებს, მოგვარდეს და დაიძლიოს. საქართველოში ეს კვლავ პრობლემად რჩება.

– თუნდაც ჩვენი თიზ-ის საკითხები ჯერ კიდევ ჰაერშია, პროცესი არ მიდის. შესაბამისად, მათ ჩართულობას ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან რეალურად თიზ-ებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ინვესტიციის მოზიდვის თვალსაზრისით. ჩვენს შემთხვევაში ეს შეეხება საგადასახადო კანონმდებლობასაც, – აცხადებს სოსო ნიბლაძე.

დეველოპერული კომპანია „ჯიდიჯი ჯგუფის“ დამფუძნებელ ბეჟან წაქაძის რჩევა: ინვენტარიზაცია და იმის განსაზღვრა, თუ რა ქონების პატრონია ეკონომიკის სამინისტრო.

სამინისტრო ფიქრობს, რომ გარკვეულ ადგილებზე ქონება აქვს, რეალურად კი აბსოლუტურად არაფერი აქვთ, მიწის გარდა.

ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ შეიმუშაოს ან გაამარტივოს პრივატიზების შესახებ კანონმდებლობა, რომელიც იქნება მარტივი და ადვილად გასაგები. ამის შემდეგ კი ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული ქონების რეალიზაცია განახორციელოს.

– რეალური ვალდებულებები უნდა იყოს ჩადებული. დაბოლოს, სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება დიდი პრობლემაა, – აცხადებს ბეჟან წაქაძე.

ჰოლდინგური კომპანია „ვაკე-5“-ისა და „ალბატროს ჯგუფის“ დამფუძნებელი დავით ბეგიაშვილი ეკონომიკის ახალ მინისტრ ნათია თურნავას პირველ რიგში საქართველოს ეკონომიკის რეანიმაციაში აქტიურ მონაწილეობას ურჩევს. შემდეგ მოდის ბიუროკრატიის შემცირება და კომუნიკაციის კიდევ უფრო მაღალი ხარისხი.

– ეკონომიკაში ბევრია სამუშაო, რადგან, სამწუხაროდ, ეკონომიკის ზრდის ტემპი მაღალია და ამ კუთხით გამოცოცხლებაა საჭირო. ეკონომიკის გაჯანსაღება ამ ქალბატონის პირდაპირი მოვალეობაა და ამ საქმიანობაში წარმატებებს ვუსურვებ, – აცხადებს ბეგიაშვილი.

**კომერსანტი**

## დავით კირკიტაძის პროცესზე 4 პოლიციელი დაკითხეს



18 აპრილს გურჯაანის რაიონულ სასამართლოში დავით კირკიტაძის მორიგი სასამართლო პროცესი გაიმართა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით სხდომა კვლავ დახურულ რეჟიმში წარიმართა და მასზე ბრალდების მხარის 4 მოწმე დაკითხეს,

კირკიტაძის ადვოკატის, გიორგი კონდახიშვილის განმარტებით, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა 16 დეკემბერს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებულ კითხვებს უპასუხეს.

შემდეგ სასამართლო პროცესებზე კი დაცვის მხარის მტკიცებულებების მოკვლევა დაიწყება.

— ამჟამად ჩვენ ვიკვლევთ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს. გამოცხადდა 4 მოწმე. ესენი იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებმაც აღიდგინეს იმდღევანდელი მოვლენები, კონკრეტულად ინაუგურაციასთან დაკავშირებით და საზოგადოების ფაქტობრივად ველისციხეში განვითარებულ მოვლენებზე იყო საუბარი.

უკეთესი იქნება, ყველაფერი ეს ღია საჯარო პროცესზე ჩატარდეს ხოლმე, რა თქმა უნდა, არის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. არგუმენტაციით შევეცადეთ მოსამართლე დაგვერწმუნებინა, რომ არავითარი წესრიგის დარღვევის პრეცედენტები არ ყოფილა იმდაგვარი, რომ საბოლოოდ ყოფილიყო სხდომა დახურული, თუმცა სამწუხაროდ არ იქნა ეს გათვალისწინებული, — განაცხადა გიორგი კონდახიშვილმა.

მორიგი სასამართლო პროცესი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 3 მაისს ჩაინიშნა.

## ბესიკ ლაგვილავას დაჭრისთვის ბეჟან გვაზავას ეძებენ

### რა მოხდა გრიგოლიშში, „ოცნების“ შტაბთან



17 აპრილს ზუგდიდის რაიონის სოფელ გრიგოლიშში სისხლიანი გარჩევა მოხდა — 28 წლის ბესიკ ლაგვილავას ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმეჯერ ესროლეს.

როგორც „ნიუპოსტისთვის“ გახდა ცნობილი, გასროლა, სავარაუდოდ, ბეჟან გვაზავამ მოახდინა. ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გვაზავა „ქართული ოცნების“ აქტივისტია.

იმ ადგილზე, სადაც სისხლიანი გარჩევა მოხდა, ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. ადგილზე მყოფი კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები მედიასთან კომენტარს არ აკეთებდნენ.

სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბეჟან გვაზავამ 28 წლის ახალგაზრდას ცეცხლი გრიგოლიშის ცენტრში, „ქართული ოცნების“ შტაბის წინ გაუხსნა.

ბესიკ ლაგვილავას ქალაქის რეფერალურ ჰოსპიტალში ოპერაცია ჩაუტარდა.

როგორც კლინიკის სამედიცინო მენეჯერმა სულხან ორჟონიამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, დაჭრილი მართვით სუნთქვაზე, კრიტიკული მედიცინის განყოფილებაში იმყოფება.

მას ჭრილობები გულისა და მუცლის არეში აღენიშნება.

ბესიკ ლაგვილავას დაჭრის ფაქტს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ნათია მეზვრიშვილი გამოეხმაურა.

მისი თქმით, გამოძიება მიმდინარეობს და დადგენილია პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა.

— ამ საკითხზე გამოძიება მიმდინარეობს. უკვე დადგენილი გვყავს პირი, რომელმაც სავარაუდოდ დანაშაული ჩაიდინა. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს საათებში და უახლოეს დღეებში მოხდება ამ პირის დაკავება და პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.

არა აქვს არანაირი მნიშვნელობა, მე არ ვიცი ამ ადამიანის პოლიტიკური შეხედულებები. ბუნებრივია, როდესაც გამოცხადდება ან დავაკავებთ, მოხდება შესაბამისი კითხვების დასმა და გავერკვევით მერე სიტუაციაში დეტალურად.

არ აქვს არანაირი მნიშვნელობა არც მის პოლიტიკურ კუთვნილებას და არც მის შეხედულებებს, ეს იქნება „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი, „ევროპული საქართველოს“ მხარდამჭერი თუ სხვა პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი, პასუხისმგებლობის საკითხი დადგება ყველა იმ პირის ვინც დანაშაულს ჩაიდენს, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

## „ხიმინჯ სერვის 2“-ის დირექტორი დააკავეს



ჭავჭავაძის გამზირზე, მშენებლობაზე ორი ადამიანის გარდაცვალების საქმეზე შპს „ხიმინჯ სერვის 2“-ის დირექტორი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, შპს „ხიმინჯ სერვის 2“-ის დირექტორი — 1957 წელს დაბადებული ო.ც. სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას ბრალდებით მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

„მიმდინარე წლის 31 მარტს შპს „ხიმინჯ სერვის 2“-ის მიერ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირის #5-ში მდებარე ყოფილი ლეჩკომბინატის შენობის საძირკვლის გამაგრების სამუშაოების წარმოების პროცესში, მიწის მასის ჩამოშლის შედეგად, ორი ადამიანი გარდაიცვალა.

ფაქტზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ შპს „ხიმინჯ სერვის 2“-ის მიერ წარმოებული მიწის ვერტიკალურად გათხრის სამუშაოები არ შეესაბამებოდა მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესებულ სტანდარტებს და დარღვეული იყო აღნიშნული დადგენილების სხვადასხვა პუნქტი.

გამოძიების მიმდინარეობისას მოპოვებული მტკიცებულებებით კი გამოიკვეთა, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა შპს „ხიმინჯ სერვის 2-ის დირექტორს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს“, — ნათქვამია შს სამინისტროს ინფორმაციაში.

## „საქართველოს რკინიგზის“ 2 თანამშრომელი დააკავეს



საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა კომერციული მოსყიდვის ფაქტზე „საქართველოს რკინიგზის“ 2 თანამშრომელი დააკავეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, რომლებსაც ევალებოდათ ქვეკონტრაქტორი კომპანიის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე ზედამხედველობა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, კომპანიის დირექტორს, შესრულებული სამუშაოების საფასურად მიღებული თანხიდან, „ატკატი“-ს სახით მოსთხოვეს და გამოართვეს 2.440 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

## ვარკეთილში ლიბერთი ბანკი დააყაჩაღეს

### დაშავდა 2 ადამიანი




18 აპრილს თბილისში, ვარკეთილში, „ლიბერთი ბანკი“ დააყაჩაღეს.

შემთხვევა სუხიშვილის ქუჩაზე, 310-ე კორპუსთან მდებარე „ლიბერთი ბანკის“ ფილიალში მოხდა. უცნობია შეძლეს თუ არა თავდამსხმელებმა თანხის წაღება. ადგილზე მობილიზებული იყვნენ პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრიგადები.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით დაიწყო, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

დაშავებული ერთ-ერთი პირის ოჯახის წევრის ინფორმაციით, დაშავებულს კეფის არეში დაზიანება ბლაგვი საგნით აქვს მიყენებული, აღენიშნება სისხლჩაქცევები.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „ამტელ ჰოსპიტალში“ მოთავსებული ქალის დამ განუცხადა, დაშავებულს კლინიკაში, სავარაუდოდ, რამდენიმე დღით დატოვებენ.

— დამარტყეს, წამაქციეს და გონება დავკარგეო — დამირეკა და ასე მითხრა ჩემმა დამ. დაზიანება კეტით თუ რკინის ბლაგვი საგნით მიაყენეს, — განაცხადა დაშავებულის დამ.

## რუსთავში მერსედესი აფეთქდა

### 3 ადამიანი დაშავდა




რუსთავში, მეგობრობის გამზირზე მოძრაობის დროს მერსედესის მარკის ავტომანქანას მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა. როგორც „ინფო რუსთავთან“ საუბარში თვითმხილველები ყვებიან, მანქანაში 3 ადამიანი, 2 მამაკაცი და 1 ქალი იმყოფებოდა. მძღოლმა სანთებელა აანთო, რის შედეგადაც ავტომობილში დაგროვილმა თხევადმა აირმა იფეთქა.

შემთხვევის შედეგად მანქანაში მყოფები დაშავდნენ. მათ მეორე ხარისხის დამწვრობა მიიღეს. ადგილზე გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, რომ პაციენტები სამედიცინო დაწესებულებაში სახის მიდამოში და თავის თმიან ნაწილზე მიღებული მეორე ხარისხის დამწვრობით შეიყვანეს.

მათი მდგომარეობა საშუალოდ მძიმეა.

მკურნალი ექიმის განცხადებით, პაციენტებს შესაბამისი დახმარება გაეწიათ და დამატებითი კვლევებიც ჩაუტარდათ.

## „ვიკივლეო და კივილზე წავიდაო“

### ბათუმში ნიღბიანი პირი ლომბარდში შეიჭრა




18 ნოემბერს ბათუმში ნიღბიანი პირი ლომბარდში შეიჭრა და თანხის გამოძალვა ცადა. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მალევე მიიმალა. ნიღბიანი ხალხმრავალ ლომბარდში დღის 2 საათზე შეიჭრა. თვითმხილველების თქმით, მოლარე-ოპერატორი დახმარებას ითხოვდა.

— აფარებული ჰქონდა სახეზეო. თანხა არ წაუღიაო. ვიკივლეო და კივილზე წავიდაო, ასე თქვა ლომბარდის თანამშრომელმა, — აღნიშნა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

დაყაჩაღებული ობიექტი ექსპერტ-კრიმინალისტებმა დახურეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში არ ადასტურებენ ინფორმაციას, რომ თავდამსხმელი სამართალდამცველებს თავად ჩაბარდა. უწყების ცნობით, ის დაკავებულია.

მომხდარზე გამოძიება ყაჩაღობის მუხლით მიმდინარეობს.

## ქუთაისში კორპუსიდან ქალი გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა

უბედური შემთხვევა მოხდა 18 აპრილს დილით ქუთაისში.

საცხოვრებელი კორპუსის ფანჯრიდან ქალი გადმოვარდა. ის ადგილზე დაიღუპა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# უილიამ ბარი: „რუსეთი ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში ჩაერია“

აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა უილიამ ბარმა პრესკონფერენცია გამართა. მან საზოგადოებას სპეცპროკურორ მუელერის გამოძიების ტექსტი წარუდგინა.

– რუსეთი ამერიკულ არჩევნებში მართლაც ჩაერია, მაგრამ არც ტრამპსა და არც ერთ სხვა ამერიკელს რუსებთან კავშირი არ ჰქონია! – თქვა ბარმა.




მუელერის მოხსენების ტექსტი კონგრესს წარედგინა და გამოქვეყნდა როგორც გენერალური პროკურორის, ასევე კონგრესის საიტებზე.

– მადლობა ღმერთს, დამტკიცდა, რომ რუსებთან არავითარი კავშირი არ მქონდა, – ასეთია პრეზიდენტ ტრამპის კომენტარი.

ამავე დროს, ტრამპმა მუელერი საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა. მის გამოძიებას მან აშშ-ის პრეზიდენტის დევნა უწოდა.

– ჩემი აზრით, უნდა გაირკვეს, ვინ იდგა მუელერის გამოძიების უკან, – ამბობს ტრამპი.

კონგრესის სპიკერმა და დემოკრატიული პარტიის წევრმა ნენსი პოლოსიმ განაცხადა, რომ მხოლოდ მუელერის მოხსენების გამოქვეყნება საკმარისი არ არის.

– სპეცპროკურორმა მუელერმა საჯარო ჩვენება უნდა მისცეს, – ამბობს პოლოსი.

# კობრამ შიშისგან კობრა ამოანთხია

ინდოეთის ოდიშას შტატის ქალაქ კხურდას მახლობლად 1,2 მეტრი სიგრძის სათვალეებიანმა კობრამ ჯერ გადაყლაპა, შემდეგ კი უკანვე ამოანთხია 90 სანტიმეტრი სიგრძის კობრა. ამ შემთხვევის ამსახველი თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთი გამოცემის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.



ქალმა, რომლის სახლშიც იმალებოდა ქვეწარმავალი, გველებზე მონადირე გამოიძახა. მან სორო გამოთხარა და გველი გარეთ გამოათრია. როდესაც მამაკაცმა კობრას ხელი კუდში ჩაავლო, შეშინებულმა ქვეწარმავალმა თავისი მსხვერპლი უკანვე ამოანთხია.

– კანიბალიზმი კობრებში ჩვეულებრივი მოვლენაა, – განმარტა გველებზე მონადირეთა ორგანიზაციის დამაარსებელმა სუბხენდუ მალიკმა, – როდესაც გველი საფრთხეს გრძნობს, ის თავიდან იშორებს გადაყლაპულ მსხვერპლს და ამის შემდეგ, შემსუბუქებული, გაქცევას ცდილობს.

# მასწავლებელმა სტუდენტებს ექსტაზის დამზადება ასწავლა



იაპონიის უნივერსიტეტის პროფესორი ტაცუნორი ივამური სტუდენტებს მათი ფარმაცევტული წამლების „ცოდნის გასაფართოებლად“ მეთილენდიოქსიმეტამფეტამინის დამზადებას ასწავლიდა, რომელიც ექსტაზის სახელით არის ცნობილი.

პროფესორს 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება. ივამურმა აღიარა, რომ 2013 წელს მისი ფარმაცევტული მეცნიერების კლასის სტუდენტებმა ექსტაზისა და სხვა დიზაინერული ნარკოტიკების შესწავლის შესაძლებლობა მიიღეს.

იაპონიის კანონმდებლობა მეცნიერ-მუშაკებისგან რეგიონული ხელისუფლებისგან აკადემიური მიზნებისთვის აკრძალული ნარკოტიკების დამზადებისთვის ლიცენზიის მიღებას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ პროფესორს, მართალია, აღნიშნული ლიცენზია აღებული ჰქონდა, მაგრამ მას უკვე ვადა ჰქონდა გასული.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა, რომლებიც ანონიმი ინფორმატორის ინფორმაციის თანახმად მოქმედებდნენ, პროფესორის სახლისა და ლაბორატორიის ჩხრეკის დროს იქ აღმოაჩინეს ნივთიერების კვალი, რომელიც კანაბისის მსგავსია. ეს ნივთიერება იაპონიაში 2014 წლიდან აკრძალულია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ზელენსკი: „დონბასი განსაკუთრებულ სტატუსს ვერ მიიღებს!“



პრეზიდენტობის კანდიდატი მოუცლელი ადამიანია. ვლადიმერ ზელენსკისთვის ინტერვიუს ჩამორთმევაც იოლი არ არის. „რბკ-უკრაინის“ ჟურნალისტმა სერგეი შჩერბინმა მას ჩოგბურთში პარტია მოუგო. ზელენსკიც ვრცელ ინტერვიუზე დათანხმდა.

უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატს ფრიად საჩოთირო კითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა. რიგ საკითხებში ის კატეგორიული იყო. მან უყოყმანოდ განაცხადა, რომ კურსი ნატოსა და ევროკავშირისკენ შეუქცევადია. ასევე გარკვევით თქვა, რომ უცვლელი დარჩება უკრაინულის, როგორც ერთადერთი სახელმწიფო ენის, სტატუსი. სტეპან ბანდერაზე კი მან თქვა:

– ბანდერა ჩვენი ეროვნული გმირია! ის უკვე ისტორიის კუთვნილებაა! კარგი იქნებოდა, თუ თანამედროვე გმირებსაც დავაფასებდით, ისეთებს, როგორებიც არიან ანდრეი შევჩენკო, ვიტალი კლიჩკო ან დონბასში მებრძოლი ჩვენი ჯარისკაცები, – თქვა ზელენსკიმ.

ვისთან შევა ზელენსკი კოალიციაში? შეშფოთება გამოიწვია რუსეთის გავლენის აგენტ ვიქტორ მედვედჩუკის განცხადებამ, მზად ვარ, ზელენსკის მხარი დავუჭირო, თუ დონბასის ომს დაამთავრებს და რუსეთთან კავშირებს აღადგენსო. მედვედჩუკმა უკრაინის მომავალ პრეზიდენტს კრემლთან გარიგება შესთავაზა. შჩერბინმაც ჰკითხა, მზად ხართ თუ არა, მედვედჩუკის წინადადება მიიღოთო. ზელენსკიმ კატეგორიულად მიუგო:

– არავითარ შემთხვევაში!

დონბასისა და ყირიმის პრობლემებზე საუბრისას ზელენსკი ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა. გარკვევით მხოლოდ ის თქვა, რომ დონბასი, ისევე, როგორც ყირიმი, უკრაინას დაუბრუნდება. მან ვერ განმარტა, როგორ მოახერხებს ამას, თუმცა დონბასისთვის ავტონომიის მინიჭება გამორიცხა:

– დონბასი განსაკუთრებულ სტატუსს ვერ მიიღებს.

უკრაინის მომავალ პრეზიდენტს არც პუტინი დაავიწყდა.

– ის ჩემი ქვეყნისა და პირადად ჩემი მტერია, – თქვა მან.

# ფხენიანი მოლაპარაკებებზე პომპეოს შეცვლას მოითხოვს



ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკმა კვონ ჩონ გინმა განაცხადა, რომ აშშ-თან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

მან ამაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო დაადანაშაულა.

– სანამ მოლაპარაკებებს პომპეო აწარმოებს, პოზიტიური ძვრები არ იქნება! მოვითხოვთ მის შეცვლას, – თქვა კვონმა.

ამასობაში ვლადიმერ პუტინმა კიმ ჩენ ინი რუსეთში ოფიციალურად დაპატიჟა. პუტინი და კიმი ერთმანეთს აპრილის მეორე ნახევარში შეხვდებიან.

შეხვედრა, სავარაუდოდ, 25-26 აპრილს ვლადივოსტოკში ჩატარდება, თუმცა სახელდება სხვა ქალაქებიც, მათ შორის ჩიტა და ულან უდე.

# ლიბიის მთავრობამ გენერალ ჰაფთარის დაპატიმრების ორდერი გასცა

ლიბიაში პუტჩი გრძელდება. ნაციონალური არმიის სარდალი, გენერალი ჰაფთარი დედაქალაქ ტრიპოლიზე შტურმს განაგრძობს. ლიბიის ნაციონალური თანხმობის დროებითმა მთავრობამაც ჰაფთარის დაპატიმრების ორდერი გასცა.

– ჰაფთარმა შეიარაღებული პუტჩი დაიწყო, ეს კი სახელმწიფო ღალატის ტოლფასია! – ნათქვამია მთავრობის განცხადებაში.

ეროვნული ერთიანობის დროებით მთავრობას აღიარებს გაერო, აგრეთვე, მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა.



**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# განცხადებები

**სხვადასხვა**

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის რიმეიქი ეტიჰედზე

## სტატისტიკა, ფსონები

ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატები დასასრულს უახლოვდება. ამიტომაც, თითქმის ყველა მატჩს თავისი დატვირთვა აქვს. თუმცა, ამ უქმეებზე ერთ მათგანს მაინც გამოვარჩევთ. მანჩესტერში ეტიჰედზე სიტი ტოტენჰემს დაუხვდება, იმ ტოტენჰემს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ჩემპიონთა ლიგიდან გააგდო. ქულები ორივეს სჭირდება, პლუს სიტი მეტოქეზე გაბრაზებულია.



### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | სიტი-ტოტენჰემი | 1.28 | 6.10 | 10.00 |
| 20.04 | ჰადერსფილდი-უოტფორდი | 4.05 | 3.60 | 1.92 |
| 20.04 | ვესტ ჰემი-ლესტერი | 3.10 | 3.40 | 2.36 |
| 20.04 | ბორნმუთი-ფულემი | 1.70 | 4.10 | 4.70 |
| 20.04 | ვულვზი-ბრაიტონი | 1.79 | 3.30 | 5.40 |
| 20.04 | ნიუკასლი-საუთჰემპტონი | 2.54 | 3.10 | 3.05 |
| 21.04 | ევერტონი-მანჩესტერი | 3.05 | 3.30 | 2.40 |
| 21.04 | კარდიფი-ლივერპული | 15.00 | 6.50 | 1.21 |
| 21.04 | არსენალი-კრ.პალასი | 1.55 | 4.25 | 6.00 |
| 22.04 | ჩელსი-ბარნლი | 1.27 | 5.70 | 12.00 |

**სიტი-ტოტენჰემი**

სიტი: ***ტრავმ***-კლაუდიო ბრავო

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ჰარი კეინი, ერიკ ლამელა, სერჟ ორიე

**ჰადერსფილდი-უოტფორდი**

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-ადამა დიახაბი

უოტფორდი: ***ტრავმ***-კიკო ფემენია, ხოსე ჰოლებასი, ჟერარდ დეულოფე

**ვესტ ჰემი-ლესტერი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი, ჯეკ უილშირი

ლესტერი: ***ტრავმ***-მარკ ალბრაიტონი, დანიელ ამარტეი

**ბორნმუთი-ფულემი**

ბორნმუთი: ***ტრავმ***-დიეგო რიკო, ჩარლი დანიელსი, ენდრიუ სარმანი, სიმონ ფრენსისი, სტივ კუკი

ფულემი: ***ტრავმ***-არავინ

**ვულვზი-ბრაიტონი**

ვულვზი: ***ტრავმ***-

ბრაიტონი: ***ტრავმ***-არავინ

**ნიუკასლი-საუთჰემპტონი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-მოჰამედ დიამე

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-მარიო ლემინა, მაიკლ ობაფემი

**ევერტონი-მანჩესტერი**

ევერტონი: ***ტრავმ***-იერი მინა

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ეშლი იანგი, ანდერ ერერა, ერიკ ბაილი, ლუკ შოუ, ანტონიო ვალენსია

**კარდიფი-ლივერპული**

კარდიფი: ***ტრავმ***-სოლ ბამბა, კალუმ პატერსონი

ლივერპული: ***ტრავმ***-არავინ

**არსენალი-კრ.პალასი**

არსენალი: ***ტრავმ***-სოკრატის პაპასტოპულოსი, ექტორ ბელერინი, რობ ჰოლდინგი, დანი უელბეკი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-ჯეიმს ტომკინსი, მამადუ სახო

**ჩელსი-ბარნლი**

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

ბარნლი: ***ტრავმ***-სტივ დეფო, აარონ ლენონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 34 | 26 | 7 | 1 | 77-20 | 85 |
| 2.სიტი | 33 | 27 | 2 | 4 | 86-22 | 83 |
| 3.ტოტენჰემი | 33 | 22 | 1 | 10 | 64-34 | 67 |
| 4.არსენალი | 33 | 20 | 6 | 7 | 66-40 | 66 |
| 5.ჩელსი | 34 | 20 | 6 | 8 | 57-36 | 66 |
| 6.მანჩესტერი | 33 | 19 | 7 | 7 | 63-44 | 64 |
| 7.ლესტერი | 34 | 14 | 5 | 15 | 46-45 | 47 |
| 8.ვულვზი | 33 | 13 | 8 | 12 | 41-42 | 47 |
| 9.ევერტონი | 34 | 13 | 7 | 14 | 46-44 | 46 |
| 10.უოტფორდი | 33 | 13 | 7 | 13 | 47-48 | 46 |
| 11.ვესტ ჰემი | 34 | 12 | 6 | 16 | 42-52 | 42 |
| 12.ბორნმუთი | 34 | 12 | 5 | 17 | 49-61 | 41 |
| 13.კრ.პალასი | 34 | 11 | 6 | 17 | 40-46 | 39 |
| 14.ბარნლი | 34 | 11 | 6 | 17 | 42-60 | 39 |
| 15.ნიუკასლი | 34 | 10 | 8 | 16 | 32-43 | 38 |
| 16.საუთჰემპტონი | 33 | 9 | 9 | 15 | 39-54 | 36 |
| 17.ბრაიტონი | 33 | 9 | 6 | 18 | 32-53 | 33 |
| 18.კარდიფი | 34 | 9 | 4 | 21 | 30-63 | 31 |
| 19.ფულემი | 34 | 5 | 5 | 24 | 32-76 | 20 |
| 20.ჰადერსფილდი | 34 | 3 | 5 | 26 | 19-67 | 14 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | სელტა-ხირონა | 2.04 | 3.65 | 3.55 |
| 20.04 | ეიბარი-ატლეტიკო | 3.05 | 3.05 | 2.54 |
| 20.04 | რაიო-უესკა | 2.12 | 3.60 | 3.35 |
| 20.04 | ბარსელონა-სოსიედადი | 1.25 | 6.50 | 11.00 |
| 21.04 | ლევანტე-ესპანიოლი | 2.36 | 3.55 | 2.95 |
| 21.04 | ხეტაფე-სევილია | 3.10 | 3.25 | 2.40 |
| 21.04 | რეალი-ბილბაო | 1.51 | 4.30 | 6.50 |
| 21.04 | ვილიარეალი-ლეგანესი | 1.82 | 3.50 | 4.70 |
| 21.04 | ბეტისი-ვალენსია | 2.85 | 3.35 | 2.52 |

**სელტა-ხირონა**

სელტა: ***ტრავმ***-იაგო ასპასი, ბრაის მენდესი, დავიდ იუნკა

ხირონა: ***ტრავმ***-დუგლასი, ალექს გრანელი, ბერნარდო, ადაი ბენიტესი

**ეიბარი-ატლეტიკო**

ეიბარი: ***ტრავმ***-რუბენ პენა, ივან რამისი, პაპაკოილ დიოპი, ანაიც არბილია, პედრო ბიგასი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ხოსე ხიმენესი, სტეფან სავიჩი, ტომასი, დიეგო გოდინი, ტომას ლემარი, დიეგო კოშტა, ლუკას ერნანდესი

**რაიო-უესკა**

რაიო: ***ტრავმ***-ალექს გალვესი, გორკა ელუსტონდო

უესკა: ***ტრავმ***-კარლოს აკაპო, პაბლო ინსუა, ლუიზინიო

**ბარსელონა-სოსიედადი**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ივან რაკიტიჩი, ხერარდ პიკე, ლუის სუარესი, სერხი რობერტო, ტომას ვერმალენი, რაფინია

სოსიედადი: ***ტრავმ***-ექტორ მორენო, ვილიან ხოსე, ადნან იანუზაი, დავიდ ზურუტუზა, ასიერ ილიარამენდი

**ლევანტე-ესპანიოლი**

ლევანტე: ***ტრავმ***-სერხიო პოშტიგო, ჩეიკ დაკური

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ერნან პერესი, დავიდ ლოპესი, პაბლო პიატი

**ხეტაფე-სევილია**

ხეტაფე: ***ტრავმ***-ამატ ნდიაე

სევილია: ***ტრავმ***-ანდრე სილვა, ნოლიტო

**რეალი-ბილბაო**

რეალი: ***ტრავმ***-სერხიო რამოსი, ვინიციუსი

ბილბაო: ***ტრავმ***-მიკელ სან ხოსე, კაპა

**ვილიარეალი-ლეგანესი**

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ვიქტორ რუისი

ლეგანესი: ***ტრავმ***-არავინ

**ბეტისი-ვალენსია**

ბეტისი: ***ტრავმ***-სერხიო კანალესი

ვალენსია: ***ტრავმ***-ფერან ტორესი, ჟოფრი კონდოგბია

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 32 | 22 | 8 | 2 | 81-31 | 74 |
| 2.ატლეტიკო | 32 | 19 | 8 | 5 | 47-21 | 65 |
| 3.რეალი | 32 | 19 | 4 | 9 | 56-38 | 61 |
| 4.სევილია | 32 | 15 | 7 | 10 | 54-39 | 52 |
| 5.ხეტაფე | 32 | 13 | 12 | 7 | 40-29 | 51 |
| 6.ვალენსია | 32 | 11 | 16 | 5 | 36-27 | 49 |
| 7.ბილბაო | 32 | 11 | 13 | 8 | 36-37 | 46 |
| 8.ალავესი | 32 | 12 | 9 | 11 | 33-40 | 45 |
| 9.ბეტისი | 32 | 12 | 7 | 13 | 38-43 | 43 |
| 10.ესპანიოლი | 32 | 11 | 8 | 13 | 37-46 | 41 |
| 11.სოსიედადი | 32 | 10 | 11 | 11 | 38-39 | 41 |
| 12.ლეგანესი | 32 | 10 | 11 | 11 | 32-36 | 41 |
| 13.ეიბარი | 32 | 9 | 13 | 10 | 42-44 | 40 |
| 14.ხირონა | 32 | 8 | 10 | 14 | 33-44 | 34 |
| 15.ლევანტე | 32 | 8 | 9 | 15 | 45-59 | 33 |
| 16.ვილიარეალი | 32 | 7 | 12 | 13 | 40-45 | 33 |
| 17.სელტა | 32 | 8 | 8 | 16 | 45-55 | 32 |
| 18.ვალიადოლიდი | 32 | 7 | 10 | 15 | 26-45 | 31 |
| 19.რაიო | 32 | 7 | 6 | 19 | 36-57 | 27 |
| 20.უესკა | 32 | 5 | 10 | 17 | 35-55 | 25 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1.32 | 5.50 | 9.00 |
| 20.04 | მაინცი-ფორტუნა | 2.14 | 3.55 | 3.35 |
| 20.04 | აუგსბურგი-შტუტგარტი | 2.12 | 3.45 | 3.50 |
| 20.04 | ბაიერნი-ვერდერი | 1.17 | 8.00 | 15.00 |
| 20.04 | გლადბახი-ლაიფციგი | 3.00 | 3.40 | 2.38 |
| 20.04 | შალკე-ჰოფენჰაიმი | 3.70 | 3.80 | 1.95 |
| 21.04 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 5.60 | 4.40 | 1.56 |
| 21.04 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.60 | 4.30 | 5.30 |
| 22.04 | ვოლფსბურგი-აინტრახტი | 2.60 | 3.55 | 2.60 |

**ლევერკუზენი-ნიურნბერგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-კარიმ ბელარაბი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ტორლეს კნოლი, ენრიკო ვალენტინი, ადამ ზრელაკი

**მაინცი-ფორტუნა**

მაინცი: ***ტრავმ***-ნიკო ბუნგერტი, ისაა აბასი, ფილიპ მვენე

ფორტუნა: ***ტრავმ***-ოლივერ ფინკი, დავორ ლოვრენი, ნიკო გისელმანი, იან ციმერი

**აუგსბურგი-შტუტგარტი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ფელიქს გიოტცე, რაფაელ ფლამბერგერი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-პაბლო მაფეო, დენის აოგო, გონსალო კასტრო, კრისტიან გენტნერი

**ბაიერნი-ვერდერი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ფრენკ რიბერი, არიენ რობენი, კორენტინ ტოლისო

ვერდერი: ***ტრავმ***-ფილიპ ბაგფრაიდი

**გლადბახი-ლაიფციგი**

გლადბახი: ***ტრავმ***-მიჰაელ ლანგი

ლაიფციგი: ***ტრავმ***-ვილი ორბანი, იუსუფ პოულსენი, დაიოტ უპამეკანო

**შალკე-ჰოფენჰაიმი**

შალკე: ***ტრავმ***-სუატ სერდარი, ჰამზა მენდილი, მარკ უტი, ალესანდრო შოპფი

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ჯოეილტონი

**ფრაიბურგი-დორტმუნდი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლას ჰოფლერი, მანუელ გულდე, ფილიპ ლინჰარტი, ნილს პეტერსენი, ლუკას კუბლერი, როლანდ სალაი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ლუკაშ პიშჩეკი, აჩრაფ ჰაკიმი, კრისტიან პულიშიჩი

**ჰერტა-ჰანოვერი**

ჰერტა: ***ტრავმ***-დენის იასტრჟემბინსკი, მარკო გრუიჩი, არნე მაიერი, ონდრეი დუდა, ფაბიან ლუშტენბერგი, ვედად იბიშევიჩი, ჯორდან ტორუნარიგა, ვლადიმირ დარიდა, დერიკ ლუკასენი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ტაკუმა ასანო, მიიკო ალბორნოცი, იოსიპ ელეზი, ბობი ვუდი, ნიკლას ფულკრუგი, იჰლას ბებუ

**ვოლფსბურგი-აინტრახტი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-

აინტრახტი: ***ტრავმ***-მარკო რუსი, ტალებ ტავატა, მარკ სტენდერა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 29 | 21 | 4 | 4 | 78-29 | 67 |
| 2.დორტმუნდი | 29 | 20 | 6 | 3 | 68-36 | 66 |
| 3.ლაიფციგი | 29 | 17 | 7 | 5 | 55-22 | 58 |
| 4.აინტრახტი | 29 | 15 | 7 | 7 | 57-34 | 52 |
| 5.გლადბახი | 29 | 15 | 6 | 8 | 48-35 | 51 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 29 | 12 | 11 | 6 | 60-39 | 47 |
| 7.ვერდერი | 29 | 12 | 10 | 7 | 52-41 | 46 |
| 8.ლევერკუზენი | 29 | 14 | 3 | 12 | 51-48 | 45 |
| 9.ვოლფსბურგი | 29 | 13 | 6 | 10 | 47-44 | 45 |
| 10.ფორტუნა | 29 | 11 | 4 | 14 | 39-56 | 37 |
| 11.ჰერტა | 29 | 9 | 8 | 12 | 41-48 | 35 |
| 12.მაინცი | 29 | 9 | 6 | 14 | 34-50 | 33 |
| 13.ფრაიბურგი | 29 | 7 | 11 | 11 | 39-50 | 32 |
| 14.აუგსბურგი | 29 | 7 | 7 | 15 | 40-55 | 28 |
| 15.შალკე | 29 | 7 | 6 | 16 | 30-47 | 27 |
| 16.შტუტგარტი | 29 | 5 | 6 | 18 | 27-61 | 21 |
| 17.ნიურნბერგი | 29 | 3 | 9 | 17 | 24-54 | 18 |
| 18.ჰანოვერი | 29 | 3 | 5 | 21 | 25-66 | 14 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | პარმა-მილანი | 5.30 | 3.50 | 1.74 |
| 20.04 | ემპოლი-სპალი | 2.18 | 3.25 | 3.55 |
| 20.04 | კალიარი-ფროზინონე | 2.00 | 3.30 | 4.05 |
| 20.04 | ლაციო-კიევო | 1.20 | 7.00 | 14.50 |
| 20.04 | ჯენოა-ტორინო | 2.70 | 3.05 | 2.85 |
| 20.04 | ბოლონია-სამპდორია | 2.28 | 3.30 | 3.30 |
| 20.04 | უდინეზე-სასუოლო | 2.42 | 3.15 | 3.15 |
| 20.04 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.46 | 4.20 | 8.20 |
| 20.04 | ინტერი-რომა | 1.82 | 3.75 | 4.30 |
| 22.04 | ნაპოლი-ატალანტა | 1.99 | 3.65 | 3.65 |

**პარმა-მილანი**

პარმა: ***ტრავმ***-ფრანსისკო სიერალტა, ჯონათან ბიაბიანი, რობერტო ინლესე, ალბერტო გრასი

მილანი: ***ტრავმ***-ჯაკომო ბონავენტურა

**ემპოლი-სპალი**

ემპოლი: ***ტრავმ***-მატიას სილვესტრი, დომენიკო მაიეტა, ანტონიო ლა გუმინა

სპალი: ***ტრავმ***-მატია ვალოტი, იასმინ კურტიჩი

**კალიარი-ფროზინონე**

კალიარი: ***ტრავმ***-ლუკა ჩეპიტელი, ლუკას კასტრო

ფროზინონე: ***ტრავმ***-ბარტოშ სალამონი

**ლაციო-კიევო**

ლაციო: ***ტრავმ***-მილან ბადელი, შტეფან რადუ, ადამ მარუშიჩი, ვალონ ბერიშა, ჯორდან ლუკაკუ

კიევო: ***ტრავმ***-ფილიპ ჯორჯევიჩი, მატია ბანი, პაულ იაროზინსკი

**ჯენოა-ტორინო**

ჯენოა: ***ტრავმ***-ოსკარ ჰილემარკი

ტორინო: ***ტრავმ***-ანდრეა ბელოტი

**ბოლონია-სამპდორია**

ბოლონია: ***ტრავმ***-ფილიპ ჰელანდერი, მატია დესტრო, ფედერიკო მატიელო

სამპდორია: ***ტრავმ***-ედგარ ბარეტო, ჯანლუკა კაპრარი

**უდინეზე-სასუოლო**

უდინეზე: ***ტრავმ***-ნიკოლას ოპოკუ, ვალონ ბეჰრამი, ანტონინ ბარაკი

სასუოლო: ***ტრავმ***-მარლონი, კლოდ აჯაპონგი

**იუვენტუსი-ფიორენტინა**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მარიო მანჯუკიჩი, ბლეზ მატუიდი, დანიელე რუგანი, მირალემ პიანიჩი, ჯორჯო კიელინი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მარკო პიაცა

**ინტერი-რომა**

ინტერი: ***ტრავმ***-მარსელო ბროზოვიჩი, სიმე ვრსალკო

რომა: ***ტრავმ***-ალექსანდერ კორალოვი, დავიდე სანტონი

**ნაპოლი-ატალანტა**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ამადუ დიავარა, რაულ ალბიოლი

ატალანტა: ***ტრავმ***-რაფაელ ტოლოი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 32 | 27 | 3 | 2 | 65-22 | 84 |
| 2.ნაპოლი | 32 | 20 | 7 | 5 | 61-28 | 67 |
| 3.ინტერი | 32 | 18 | 6 | 8 | 50-26 | 60 |
| 4.მილანი | 32 | 15 | 10 | 7 | 46-30 | 55 |
| 5.რომა | 32 | 14 | 9 | 9 | 57-45 | 54 |
| 6.ატალანტა | 32 | 15 | 8 | 9 | 64-41 | 53 |
| 7.ლაციო | 32 | 15 | 7 | 10 | 46-33 | 52 |
| 8.ტორინო | 32 | 12 | 14 | 6 | 41-29 | 50 |
| 9.სამპდორია | 32 | 14 | 6 | 12 | 53-41 | 48 |
| 10.ფიორენტინა | 32 | 8 | 16 | 8 | 46-39 | 40 |
| 11.სასუოლო | 32 | 8 | 13 | 11 | 46-51 | 37 |
| 12.კალიარი | 32 | 9 | 10 | 13 | 31-44 | 37 |
| 13.სპალი | 32 | 9 | 8 | 15 | 30-45 | 35 |
| 14.პარმა | 32 | 9 | 8 | 15 | 33-50 | 35 |
| 15.ჯენოა | 32 | 8 | 10 | 14 | 35-51 | 34 |
| 16.ბოლონია | 32 | 7 | 10 | 15 | 31-47 | 31 |
| 17.უდინეზე | 31 | 7 | 8 | 16 | 27-44 | 29 |
| 18.ემპოლი | 32 | 7 | 8 | 17 | 40-59 | 29 |
| 19.ფროზინონე | 32 | 5 | 8 | 19 | 26-59 | 23 |
| 20.კიევო | 32 | 1 | 11 | 20 | 22-67 | 11 |

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.04 | გენგამი-მარსელი | 4.20 | 3.30 | 1.97 |
| 20.04 | ნიცა-კაენი | 1.84 | 3.20 | 5.20 |
| 20.04 | სტრასბური-მონპელიე | 2.70 | 3.10 | 2.85 |
| 20.04 | ნიმი-ბორდო | 2.20 | 3.25 | 3.50 |
| 21.04 | ტულუზა-ლილი | 3.40 | 3.20 | 2.26 |
| 21.04 | ნანტი-ამიენი | 1.97 | 3.15 | 4.40 |
| 21.04 | რეიმსი-სტ.ეტიენი | 2.60 | 3.05 | 2.95 |
| 21.04 | პსჟ-მონაკო | 1.51 | 4.50 | 6.00 |

**გენგამი-მარსელი**

გენგამი: ***ტრავმ***-ლებოგანგ პირი, ნიკოლას ბენეზე

მარსელი: ***ტრავმ***-ლუკას ოკამპოსი

**ნიცა-კაენი**

ნიცა: ***ტრავმ***-ვილიამ ჩიპრიენი, ისან სასკო, კრისტიფერ ჟალე, მიზაინე მაოლიდა

კაენი: ***ტრავმ***-არავინ

**სტრასბური-მონპელიე**

სტრასბური: ***ტრავმ***-იბრაჰიმ სისოკო, კევინ ზოჰი, ჯერემი გრიმი, იდრის საადი

მონპელიე: ***ტრავმ***-კიგან დოლი

**ნიმი-ბორდო**

ნიმი: ***ტრავმ***-სოფიან ალაკოუ, ლოიკ ლანდრე, მუსტაფა დიალო

ბორდო: ***ტრავმ***-ნიკოლას დე პრევილე, ვუკასინ იოვანოვიჩი, პაბლო, ანდრეას კორნელიუსი

**ტულუზა-ლილი**

ტულუზა: ***ტრავმ***-კორენტინ ჟანი

ლილი: ***ტრავმ***-რაფაელ ლეაო

**ნანტი-ამიენი**

ნანტი: ***ტრავმ***-ანდრეი გიროტო

ამიენი: ***ტრავმ***-მეტიუ ბოდმერი, ჯორდან ლეფორი, სამან გოდოსი

**რეიმსი-სტ.ეტიენი**

რეიმსი: ***ტრავმ***-პაბლო ჩავარია, გისლან კონანი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-გაბრიელ სილვა

**პსჟ-მონაკო**

პსჟ: ***ტრავმ***-ლასანა დიარა, ნეიმარი, ადრიენ რაბიო

მონაკო: ***ტრავმ***-ვილემ გუბელსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 32 | 26 | 3 | 3 | 92-26 | 81 |
| 2.ლილი | 32 | 19 | 7 | 6 | 54-28 | 64 |
| 3.ლიონი | 32 | 16 | 8 | 8 | 53-40 | 56 |
| 4.სტ.ეტიენი | 32 | 15 | 8 | 9 | 48-37 | 53 |
| 5.მარსელი | 32 | 15 | 6 | 11 | 49-43 | 51 |
| 6.რეიმსი | 31 | 11 | 15 | 5 | 32-28 | 48 |
| 7.ნიცა | 32 | 13 | 9 | 10 | 23-29 | 48 |
| 8.მონპელიე | 31 | 11 | 12 | 8 | 42-36 | 45 |
| 9.ნიმი | 32 | 12 | 7 | 13 | 47-47 | 43 |
| 10.რენი | 32 | 11 | 10 | 11 | 43-43 | 43 |
| 11.სტრასბური | 31 | 9 | 14 | 8 | 50-40 | 41 |
| 12.ანჟე | 32 | 9 | 14 | 9 | 39-38 | 41 |
| 13.ბორდო | 32 | 9 | 11 | 12 | 30-34 | 38 |
| 14.ნანტი | 32 | 10 | 7 | 15 | 38-42 | 37 |
| 15.ტულუზა | 32 | 8 | 11 | 13 | 30-46 | 35 |
| 16.მონაკო | 32 | 7 | 11 | 14 | 31-46 | 32 |
| 17.ამიენი | 32 | 8 | 8 | 16 | 26-45 | 32 |
| 18.დიჟონი | 32 | 6 | 7 | 19 | 24-48 | 25 |
| 19.გენგამი | 31 | 5 | 9 | 17 | 23-55 | 24 |
| 20.კაენი | 32 | 4 | 11 | 17 | 24-47 | 23 |

# ბასკონიამ მოსკოვში ცსკას მოუგო

ევროლიგის მეოთხედფინალურ სერიაში თორნიკე შენგელიას ბასკონიამ მოსკოვში ცსკა დაამარცხა და სერია ხომ გაათანაბრა, პლუს, მოედნის უპირატესობაც მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში არმიელებმა ბასკონია არ დაინდეს და 94:68 მოუგეს, ამჯერად კი შენგელიას გუნდმა დიდებულად ითამაშა და რუსული კლუბი საკუთარი ქომაგების თვალწინ – 78:68 დაამარცხა.

შენგელია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 23 წუთი გაატარა. თორნიკემ 6-დან 2 ორქულიანი და 1 სამიანი ჩააგდო, 3 საჯარიმო კი ააცილა. ქართველ ფორვარდს საბოლოოდ 7 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება დაუგროვდა.

კიდევ ერთი ქართველის, ნატურალიზებული ამერიკელის, მეტ ჯენინგის ანგარიშზე 9 წუთში 3 ქულა, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრაა.

ბასკონიელთაგან საუკეთესო შედეგი ვინსენტ პუარემ დააფიქსირა, რომელმაც 14 ქულა, 15 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა. 16 ქულა ჰქონდა დარუნ ჰილარდს, ხოლო პატრიციო გარინოს ანგარიშზე 11 ქულა დაგროვდა. მოსკოველთაგან 15 ქულით ბომბარდირი გახდა კორი ჰიგინსი, სერხიო როდრიგესმა და უილ კლაიბურნმა 14-14 ქულა მოაგროვეს.

შეგახსენებთ, რომ სერია 3 მოგებამდე გრძელდება, მომდევნო 2 მატჩი კი ვიტორიაში გაიმართება. თუ ბასკონია ოთხთა ფინალში გავიდა, იქაც მოედნის უპირატესობა ექნება, რადგან ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის ფინალს სწორედ ვიტორია უმასპინძლებს.




მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ქალს ყალბი ბეჭდის გამო ნიშნობის განყვეტა ურჩიეს

ერთ-ერთი ამერიკული გაზეთის სვეტის ავტორმა ნატალი ბენჩივენგამ მკითხველ ქალბატონს საქმროსთან დაშორება ურჩია, ვინაიდან მან ნამდვილი ბრილიანტის-თვლიანი ბეჭედი არ უყიდა.

ქალმა, რომელმაც მას დახმარებისთვის მიმართა, განუცხადა, რომ სიცრუის შესახებ მან შემთხვევით გაიგო. მან ნიშნობის ბეჭედი იუველირთან დასაზღვევად მიიტანა.



მან კი ბეჭედი დაათვალიერა და განუცხადა, რომ ის ბრილიანტის თვალი არ იყო და იყო ფიანიტი – სინთეტიკური მასალა, რომელიც ხშირად გამოიყენება ძვირფასი ქვების იმიტაციისთვის.

– როდესაც საქმროს ვკითხე, მან, უბრალოდ, ხელი ჩაიქნია, – წერს ქალი, – მისი თქმით, ბეჭედი ამხელა ნამდვილი ბრილიანტის თვლით მთელი ქონება ღირს და საერთოდ ამას რა მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ მამაკაცმა დაამატა, რომ მისი ნაცნობები მაინც ვერაფერს შენიშნავდნენ.

ბენჩივენგა ფიქრობს, რომ სიყალბის დამალვის მცდელობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

– მე არ ვისურვებდი, საკუთარი ცხოვრება დავუკავშირო ადამიანს, რომელიც ცდილობს, ასეთი სიყალბით გაიიოლოს ცხოვრება, – დაწერა მან ქალის პასუხში, – კიდევ რა შეიძლება, აღმოჩნდეს სიყალბე? მე, მაგალითად, კარგად დავფიქრდებოდი იმაზე, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი ამის შემდეგ.

# ავსტრალიელები ნიანგებით სავსე ჭაობში გაიჭედნენ



ავსტრალიელმა მაშველებმა ნიანგებით სავსე ჭაობიდან ამოიყვანეს ავტომობილი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

შანტელ ჯონსონი და კოლენ ნულგიტი ძაღლ ეისთან ერთად ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე მდებარე ეროვნულ პარკში სათევზაოდ იყვნენ წასული. ისინი დაჭაობებულ ადგილებში მანქანით გადაადგილდებოდნენ და ერთ ადგილას ჩაეფლნენ.

– ჩვენ ჭაობში გავიჭედეთ, რომლის შორიახლოს მდინარე მიედინებოდა, – განმარტა ნულგიტმა.

ისინი უშედეგოდ ცდილობდნენ საკუთარი ძალებით მანქანის ჭაობიდან ამოთრევას. პირველი ღამე მათ მანქანის სალონში გაათიეს, მანამდე კი რამდენიმე ნიანგის ნაკვალევი შენიშნეს და შიშობდნენ, რომ ისინი ისევ დაბრუნდებოდნენ. მეორე დღეს წყლის მოქცევა დაიწყო და ჯონსონი და ნუგლიტი იძულებულნი გახდნენ, ნივთები მოეგროვებინათ და მანქანა დაეტოვებინათ.

წყვილმა გადაწყვიტა, სამაშველო სამსახურის ყურადღება მიეპყრო. ამისთვის მათ დიდი კოცონი დაანთეს და ასევე მიწაზე დიდ ასოებით დაწერეს: „გვიშველეთ". მალე ადგილზე სამაშველო სამსახურის ჯგუფი მივიდა და მათ დახმარება აღმოუჩინა. უახლოესი ქალაქის კუნუნარას პოლიციის წარმომადგენელმა კი ახალგაზრდები საზრიანობისთვის შეაქო.

# ექიმმა ათეულობით პაციენტი ქალი მალულად გაანაყოფიერა



დნმ-ის ანალიზმა დაადასტურა, რომ ნიდერლანდელი ექიმი იან კარბაატი მინიმუმ 49 ბავშვის მამა იყო, რომლებიც მის საავადმყოფოში ხელოვნური განაყოფიერების გზით ჩაისახნენ.

ექიმი საკუთარ ბიოლოგიურ მასალას პაციენტი ქალებისთვის შეუტყობინებლად იყენებდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შეგნებულად მოქმედებდა მათი ნების საწინააღმდეგოდ. კარბაატის ერთ-ერთი ბიოლოგიური შვილის ჯოი ჰოფდმენის მტკიცებით, დედამისმა ექიმს თავისი პარტნიორის სპერმა მიუტანა, მაგრამ მან ის ფარულად საკუთრით შეცვალა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ექიმს, შესაძლოა, 200-მდე ბიოლოგიური შვილი ჰყოლოდა. ნიდერლანდების ბავშვთა დონორების ფონდში გრძელდება იმ ადამიანების მიმართვა, რომლებიც ეჭვობენ, რომ მათი ბიოლოგიური მამა კარბაატი იყო. ზოგიერთი მათგანი, მათ შორის ჰოფდმენი, კომპენსაციის მიღებისთვის ბრძოლას აპირებენ.

ალსანიშნავია, რომ 2007 წელს როტერდამის გარეუბანში მდებარე კარბაატის საავადმყოფო ნიდერლანდების ხელისუფლებამ ცუდი მართვისა და საბუთების მოუწესრიგებლობისთვის დახურა, თავად ექიმი კი 2017 წელს 89 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# მამაკაცმა მარტორქა-ცხვარი სიკვდილს ლუდით გადაარჩინა



ავსტრალიის მკვიდრმა ცხოველების სასაკლაოზე ცალრქიანი ცხვარი შენიშნა და ცხოველს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

მაიკლ ფოსტერმა სასაკლაოს გვერდით ჩაიარა, რა დროსაც შემთხვევით ცხვრის ფარაში უჩვეულო ცხვარი, სახელად ჯოუი შენიშნა. მას თავის შუა ნაწილში ერთადერთი გრძელი რქა ჰქონდა ამოზრდილი.

– მე მაშინვე გავიფიქრე: „აჰა, ნამდვილ მარტორქასავით გამოიყურება", – გაიხსენა ყოფილმა ბირჟის აგენტმა.

მან გადაწყვიტა, ჯოუი დაკვლას გადაერჩინა და ის სასაკლაოს მეპატრონისგან ორი ყუთი ლუდის სანაცვლოდ გამოისყიდა. ახლა აპირებს, უჩვეულო ცხვარი მთელ მსოფლიოს გააცნოს.

– ჩვენ ნამდვილ სანახაობას გავმართავთ და, ღმერთმა უწყის, სად აღმოვჩნდებით, შესაძლოა, ჰოლივუდშიც, – ამბობს ფოსტერი, – დარწმუნებული ვარ, ბავშვები მისი ნახვით გაიხარებენ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ის ავსტრალიაში ერთადერთი ასეთი ცხოველია.

# კამეჩმა ნიანგების შემაწუხებელი პატარა ბეჰემოთი დასაჯა



სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ბეჰემოთის ნაშიერი მოსვენებას არ აძლევდა ნიანგებსა და კამეჩს. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე პარკის გვერდზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორის თქმით, ის მეგობრებთან ერთად ყავას სვამდა სანსეტის დამბასთან და ნაპირზე მზეს მიფიცხებულ ნიანგებს აკვირდებოდა.

– მოულოდნელად ახალგაზრდა ბეჰემოთი წყლიდან ამოვიდა და უცერემონიოდ დაერია ნიანგებს. მან რამდენიმე აიძულა, ნაპირი დაეტოვებინათ და წყალში ჩასვლით დაეღწიათ მისგან თავი, – ყვება ვიდეოს ავტორი, – ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ის ამით, უბრალოდ, ერთობოდა.

ნიანგებთან საქმის მოთავების შემდეგ ბეჰემოთი კამეჩისკენ გაემართა, რომელიც იქ წყლის დასალევად იყო მისული.

– ამით მისი თამაში და გართობა დასრულდა, ვინაიდან კამეჩმა მას თავად შეუტია და იძულებული გახადა, თავი წყლისთვის შეეფარებინა, – განაცხადა ვიდეოს ავტორმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი

## 20 აპრილისთვის



**ვერძი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **კურო** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ლომი** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **სასწორი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ღრიანკალი** – შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **თხის რქა** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება. **მერწყული** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით.

## 21 აპრილისთვის

**ვერძი** – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. იზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი. **კურო** – ახალი კონტაქტები იღბლიანად წარიმართება. შესაძლოა, შემოსავალი გაგეზარდოთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი მაღალია. საღამოს ნათესავებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. **კირჩხიბი** – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **ლომი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ქალწული** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **სასწორი** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **ღრიანკალი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **თხის რქა** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **მერწყული** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **თევზები** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


## მალამო „მენტორი პირველი"

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

## მალამო მენტორი ხუთი

**საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.**

**მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.** ☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.


# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჩანჩქერი აფრიკაში; 2. მოხდენილი, ლამაზი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 3. კოსოვოს დედაქალაქი; 4. ამერიკული საიუველირო ფირმა; 7. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. ყოველდღიური გაზეთი შვეიცარიაში; 12. ესპანელი კინორეჟისორი; 14. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 15. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 17. გერმანული სპორტული ჟურნალი; 20. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. მდინარე აშშ-ში; 6. შინამრეწველური წესით დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 8. უმცროს მეთაურთა წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 10. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. მხარე ავსტრიაში; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 16. იოლი, შემოსავლიანი თანამდებობა; 18. ორელექტროდიანი ელექტროვაკუუმური ნათურა; 19. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 21. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 22. ტანსაცმლის, თეთრეულის კარადა; 23. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სოჭი; 2. ობი; 3. დეფინიცია; 4. ქსანი; 5. პალანგა; 8. პინო; 9. ნიუანსი; 10. ჰარისონი; 12. თმოგვი; 13. შაირი; 15. სმოგი.

**თარაზულად:** 1. სორენტო; 6. დეპრესია; 7. ჭუპრი; 10. ჰაიტი; 11. უნაბი; 13. შრატი; 14. ბასრა; 16. გორი; 17. აპოკოპე; 18. ოსტიტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პოტენცია; 2. ჰერში; 3. სტიუარდი; 4. ყინული; 7. ულისე; 9. ამატი; 12. არითმეტიკა; 14. ჯოკერი; 15. ანაკლია; 17. მანიანი; 20. ატაშე.

**თარაზულად:** 5. ფოლკნერი; 6. კატრანი; 8. კაშხალი; 10. ვესტერნი; 11. აილამა; 13. ოტიატრი; 16. ციცერონი; 18. პალმა; 19. გაუდა; 21. სტურუა; 22. კინტრიში; 23. ბურნაკუ.

# მიხეილ ზაქარიაშვილი: „როგორ მოახერხეს, რომ სიმღერის სურვილი გაექროთ ჩემთვის?“



ამ კითხვას მომღერალი და კომპოზიტორი მიხეილ ზაქარიაშვილი სვამს. ხელოვანის განმარტებით, სიმღერაზე უარის თქმის მიზეზი ის გარემოა, რომელშიც ხელოვანს ცხოვრება უწევს:

– როგორ მოახერხეს, რომ სიმღერის სურვილი გაექროთ ჩემთვის, ვერ ვხვდები. ვერც ვერასდროს წარმოვიდგენდი! არანაირი სურვილი არ მაქვს არც სიმღერის და არც სიმღერების შექმნის ამ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია. ის, რაც იცით, რომ ჩემი შექმნილია, დიდი ხნის წინ არის...

„ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში“, – ამბობდა გალაკტიონი და ამიტომაც ის, რაც მიყვარდა, რასაც ვუმღეროდი – ყველაფერი გაუფასურდა ჩემს თვალში. მაპატიეთ, მაგრამ დღეს ასეთი განწყობა მაქვს! ყოველთვის მინდოდა, მებრძოლა ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის და ვიბრძოდი, როგორც შემეძლო, მინდოდა, ის გზა, რომელიც მე და ჩვენმა თაობამ გამოვიარეთ, ჩვენს შვილებს არ გაევლოთ, ბრძოლა ქვეყნის აშენების გამთლიანების, საუკეთესო მომავლისთვის ჩვენ დაგვემთავრებინა და აგვეცილებინა ბავშვებისთვის!

მე მხოლოდ მინდოდა, რომ ჩვენს მომავალ თაობას მაინც ეცხოვრა ადამიანურად და არ ებრძოლა არსებობისთვის, ემაყათ წინაპრებით, მაგრამ, სამწუხაროდ, მოჯადოებულ წრესავით ერთ წრეზე ვტრიალებთ! ვინ გაგვწირა ასე? ვის რა დავუშავეთ? ეს გათითოკაცება რით ვერ დამთავრდა, ეს ერთმანეთის ჭამა, ლანძღვა, გინება?

რა თემაზე უნდა ვიმღერო? როცა ყველგან ღალატია, გაუტანლობა, ბავშვების შიმშილი, მოხუცების გარეთ ქუჩაში, ყინვაში ძილი, ნაგავში საკვების ძებნა, ეს მათ არ დაუმსახურებიათ და გიკვირთ, რატომ არ მემღერება? რა გგონიათ, სიმღერას ვერ შევქმნი? ვერ გავუშვებ რომელიმე არხზე ან რადიოს ეთერებში მაინც? თუნდაც აქ, ფეისბუკში, ამას ხომ მაინც ვერავინ ამიკრძალავს, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, არ მემღერება... და ზუსტად ვიცი, ზოგიერთები იტყვიან ან გულში მაინც გაიფიქრებენ: აი დარდი კიდე, თუ არ გემღერებაო.

ხო, მერე რა?! ვინ არის მიშა ზაქარიაშვილი? არც არავინ, ერთი უბრალო ხელოვანი! ჩვენ ხომ ისეთები არ დავაფასეთ, საფლავიც კი არ ვაღირსეთ, თუნდაც ნიკალა გვეყოფა სანანებლად, მე ვინ ვარ მათთან შედარებით? ყველა ხომ გენიოსია ამ ქვეყანაში, ყველას ყველაფერი სხვაზე უკეთ შეუძლია აკეთოს, ომში შეწირულ გმირებსაც კი არ სცემენ პატივს ნეტა რას მიდიოდა ომში ან ვის ებრძოდაო? მტერზე იტყვიან, მოყვარეაო, ქართველები, ოღონდაც ფული გადაუხადონ, მოყვარეს კი მოღალატეს დაარქმევენ! ღმერთს ებარებოდეთ, ჩემო მაინც ძვირფასო ადამიანებო, მაგრამ, ესეც იცოდეთ, არ ჩაგიბარებთ ასეთი მორალით! არა....

გამოფხიზლდით, გამოდით საღათას ძილიდან!

# გურამ შეროზია ამღერდა



ბლოგერი გურამ შეროზია ამღერდა. მისი პირველი მუსიკალური კლიპი სიმღერაზე „შენთან ერთად ვბედავ“ ინტერნეტში უკვე გამოჩნდა და რამდენიმე ათასი ნახვაც აქვს.

კლიპის ავტორი ლუკა გეგეშიძეა, მუსიკა და არანჟირება კობა მესხიას ეკუთვნის, ტექსტი კი – გურამ შეროზიას.

**გურამ შეროზია:**

– ეს ჩემი პირველი მუსიკალური კლიპია პირველ ქართულ, ჩემთვის დაწერილ სიმღერაზე. მასში დიდი დოზით არის თრეველ ვიდეოს ელემენტებიც, გადაღებები სამ ქვეყანაში – ტაილანდში, ინდონეზიაში, ბალიზე და ვიეტნამში მიმდინარეობდა.

მთავარ როლში ტაილანდელი ტრანსგენდერი ქალი მონაწილეობს. ანასტასია სრულიად შემთხვევით მოხვდა ვიდეოში. ერთ-ერთი ღამის გადაღების დროს მოვიდა და გვთხოვა, რომ მისთვისაც გადაგვეღო. თავიდან ხუმრობად ჩავთვალეთ, ხოლო როცა თავისი ისტორია მოგვიყვა და კლიპში ან თუნდაც ფილმში გადაღების ოცნება გაგვიზიარა, არც მეტი, არც ნაკლები, მთავარი როლი მოვუფიქრეთ. ანასტასია ტრანსგენდერი ქალია, რომელსაც ოჯახიდან წამოსვლა მოუწია, თავს მეძავობით ირჩენს და ცნობილ მსახიობობაზე ოცნებობს. ვერ გეტყვით, რამდენად ავუსრულეთ ოცნება, თუმცა ოცნების ნაწილის განხორციელებაც ჩვენთვის საკმაოდ სასიამოვნო იყო. შეგვაფასეთ, გნებავთ, დადებითად, გნებავთ, კრიტიკულად.

# იოსებ გრიშაშვილის 130 წლის იუბილე მთელი წლის განმავლობაში აღინიშნება



პოეტის, ძველი თბილისის დიდი მოამაგისა და კოლექციონერის იოსებ გრიშაშვილის 130 წლის იუბილეს აღნიშვნა 22 აპრილს დაიწყება და მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

საიუბილეო ღონისძიებების გახსნის საზეიმო საღამო თსუ-ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართება.

– იოსებ გრიშაშვილი იყო არა მხოლოდ პოეტი, არამედ ძველი თბილისის დიდი მოამაგე და კოლექციონერი. მის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია უძველესი და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნები, უნიკალური დოკუმენტები და ძველი თბილისის ფოტოები, ქართული ხალხური საკრავების კოლექცია. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, ფართო საზოგადოებამ გაიგოს იოსებ გრიშაშვილის ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ, – აცხადებს თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ირაკლი ღარიბაშვილი.

„იოსებ გრიშაშვილი – 130“ – ასე ჰქვია ღონისძიებების ციკლს, რომელიც ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება და იშვიათი და უნიკალური წიგნების გამოფენას, სტუდენტურ კონფერენციას, საჯარო ლექციას, ფოტოკონკურსსა და სხვა არაერთ აქტივობას მოიცავს.

იოსებ გრიშაშვილმა ასიათასტომიანი ბიბლიოთეკა და იშვიათი კოლექცია სწორედ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას უანდერძა.

# კრეატორ ბარი გაურკვეველი დროით დაიხურა



მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე ცოცხალი ანდერგრაუნდ მუსიკის სივრცე კრეატორ ბარი გაურკვეველი დროით დაიხურა. მიზეზი მისი დამფუძნებლისა და სულის ჩამდგმელის მაკა ვეკუას გარდაცვალება გახდა. მაკას სიმსივნე ჰქონდა, მეგობრები მის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტებს სხვადასხვა ბარში აწყობდნენ. მეგობრების თანადგომის მიუხედავად, მაკას გადარჩენა ვერ მოხერხდა. მან ქიმიას ვერ გაუძლო.

# ნოდარ მგალობლიშვილის მეუღლემ მსახიობის ნამღერი საოპერო არია გაავრცელა



ნოდარ მგალობლიშვილის მეუღლე ნინო ჩხიკვიშვილმა ინტერნეტში მსახიობის ნამღერი საოპერო არიის ჩანაწერი გაავრცელა, რომელსაც ბევრი მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს:

– ამ პატარა ვიდეოში ნოდარი „თავისი იტალიურით“ ასრულებს ამ არიას.

ეს და კიდევ ერთი სხვა ჩანაწერის არსებობა ბატონი გაიოზ კანდელაკის დამსახურებაა. სწორედ გაიოზმა აიძულა, რომ ეს ორი სიმღერა ჩაეწერა და... ასე შემოგვრჩა ნოდარის ორი სიმღერა: ეს, კიდევ მეორე „იტალიელ ქალებს“, სწორედ ამ ორი სიმღერით დაემშვიდობა ნოდარი 30 მარტს მარჯანიშვილის თეატრში მოსულთ.

ეს პატარა ვიდეო კი თავის დროზე მისმა და ჩემმა ნანინამ მოამზადა. და ახლა, როცა ნოდარი აღარაა ამ წუთისოფელში, განსაკუთრებით ემოციურია ამ კადრების ხილვა.

კიდევ ერთხელ და მრავალგზის დიდი მადლობა ბატონ გაიოზს!

# გასწორება



18 აპრილის გაზეთ „ახალ თაობაში“ გავრცელებული ინფორმაცია მართა მგელაძის შესახებ არ ასახავს რეალურ ჭეშმარიტებას. გიგზავნით ინფორმაციას მართას ამჟამინდელ მდგომარეობაზე:

უდიდესი მადლობა ყველას მართასა და ჩვენი ოჯახის თანადგომისთვის.

მოგეხსენებათ, მართა გადის მაღალი რისკის მქონე ქიმიოთერაპიის მკურნალობის კურსს თურქეთის, აჯიბადემის კლინიკაში. დღეის მდგომარეობით, მართამ დაასრულა მაღალი რისკის მქონე ქიმიოთერაპიის მეორე ბლოკი. ჯერ კიდევ აუცილებელია აღნიშნული მკურნალობის გაგრძელება, რაშიც ისევ გვჭირდება თქვენი თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

თანხების ამოწურვამ განაპირობა საქველმოქმედო კონცერტის დაგეგმვა 19 აპრილს, მაგრამ, ტექნიკური მიზეზების გამო, ეს ღონისძიება გადაიდო მაისის ბოლომდე. დეტალებს მოგვიანებით გავავრცელებთ. ამ ეტაპზე შეგვიძლია გაცნობოთ, რომ მერიამ დარბაზის დაქირავების დაფინანსებაზე უარი გვითხრა იმ მოტივით, რომ მათი პირადი გამოცდილებით, თანხები, რომელიც საქველმოქმედო კონცერტისთვის უნდა გამოყოფილიყო, უმჯობესია, მიმართული იყოს პირდაპირ მართას მკურნალობის ნაწილობრივ დაფინანსებისთვის. ამისათვის ისინი ელოდებიან ჯერ ჯანდაცვის სამინისტროდან პასუხს დაფინანსებაზე და შემდეგ გადაწყვეტენ, რა თანხით დააფინანსონ მართას მკურნალობა.

იმედია, უფლის შეწევნითა და თქვენი თანადგომით ჩვენ ყველაფერს შევძლებთ და მართა მალე დაგვიბრუნდება სრულიად ჯანმრთელი და ლაღი.

**ივანე მგელაძე, მართას მამა**

# რეზო შატაკიშვილმა ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი მსახიობების სია გამოაქვეყნა

რეჟისორმა რეზო შატაკიშვილმა ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი მსახიობების სია გამოაქვეყნა.

– ძალიან ხშირად ამბობენ, რომ მთელი ინტელიგენცია განუდგა ზვიად გამსახურდიას.

ახლა მე ჩამოგითვლით, ვინ უჭერდა მხარს ზვიად გამსახურდიას და დასკვნები მერე გამოიტანეთ!

1. ცეკვის ღმერთი – ვახტანგ ჭაბუკიანი!
2. ლეგენდარული მოცეკვავე – ლატავრა ფოჩიანი!
3. ქართული ოპერის სიამაყე – მაია თომაძე!
4. მედეა ფანიაშვილი!
5. ლია ელიავა!
6. ოთარ კობერიძე!
7. ლეილა აბაშიძე!
7. იზა გიგოშვილი!
8. მერაბ თავაძე!
8. ნუგზარ შარია!
9. ლია გუდაძე!
10. აკაკი ხიდაშელი და კიდევ ბევრი სხვა და თუგინდ მხოლოდ ესენი ყოფილიყვნენ, უკაცრავად და ეს ხალხი მწველავები იყვნენ, მეჩაიეები თუ კალხოზნიკები?

ერთი ვახტანგ ჭაბუკიანი გადაგიწონით მთელ ედიკას გურანდიჩკებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# განძის მაძიებლებმა განძს მიაგნეს, მაგრამ ცარიელ-ტარიელები დარჩნენ



არქეოლოგების განცხადების თანახმად, გერმანიაში XIV საუკუნის მონეტების ყველაზე დიდ განძს მიაგნეს მათ შორის, რომელიც კი ბოლო წლებში აღმოუჩენიათ.

მონეტები 2017 წელს ქალაქ ელვანგენის მახლობლად იქნა აღმოჩენილი. ისინი ორმა მამაკაცმა ამოთხარა, რომლებიც ლითონმაძიებლის გამოყენებით ძველ სამხედრო აღჭურვილობას ეძებდნენ. ისინი ნაპოვნს რამდენიმე თვის განმავლობაში მალავდნენ, თუმცა შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ამის შესახებ ხელისუფლებას აცნობა. მათ ჯარიმის გადახდა მოუხდათ, თუმცა, სამაგიეროდ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა თავიდან აიცილეს.

განძის დიდ ნაწილს ვერცხლის გელერები – დასახურდავებელი მონეტები შეადგენდა, რომლებიც შუა საუკუნეების ცენტრალურ ევროპაში იყო გავრცელებული. ბევრი მათგანი ქალაქ შვებიშ-ჰალში იყო დამზადებული, განძში გვხვდება მონეტები, დამზადებული ვიურცბურგში, აუგსბურგში, კონსტანცასა და ასევე საფრანგეთში. მათგან ყველაზე ძველი მონეტები 1280 წლითაა დათარიღებული, ხოლო შედარებით ახლები 1350 წელს განეკუთვნება. მონეტებთან ერთად ინახებოდა ვერცხლის ბეჭედიც.

შვიდი საუკუნის განმავლობაში მონეტები ერთმანეთს მიეწება, თუმცა, მათი საერთო წონიდან გამომდინარე, მათმა რაოდენობამ შესაძლოა ცხრა ათასს გადააჭარბოს. XIV საუკუნის დასაწყისში ეს თანხა მთელი გლეხური მეურნეობის შეძენას ეყოფოდა. განძის დღევანდელი ღირებულების თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

ამჟამად მონეტებს ძეგლთა დაცვის სპეციალისტები სწავლობენ. სავარაუდოდ, მონეტებს ერთმანეთს დააცილებენ, გაწმენდენ, ზაფხულში კი ქალაქ ესლინგენ-ამნეკარში გამოფენენ.

# სხვის სახლში შესულმა მამაკაცმა საჭმელი მოიმზადა და დაიძინა



შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში ოჯახმა საკუთარ სახლში მთვრალი უცნობი მამაკაცი აღმოაჩინა.

– ოჯახურმა წყვილმა გამაღვიძა და მეკითხება: „შენ ვინ ხარ?“ – ყვება მამაკაცი ფეისბუქზე გამოქვეყნებულ ვიდეოში, – მე კი მათ ვუპასუხე: „რას მეკითხებით? გასულ ღამეს აქ ვიყავი წვეულებაზე“.

მაშინ სახლის პატრონმა ის დაარწმუნა, რომ მის სახლში არანაირი წვეულება არ ყოფილა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, წინა ღამეს მამაკაცმა ტაქსი გამოიძახა სახლში წასასვლელად, მაგრამ, ადგილზე მისულს, კარი აერია.

– შევედი, საბანი დავიფარე და დავიძინე, – იხსენებს შოტლანდიელი.

დილით ოჯახმა სამზარეულოში მაგიდაზე თეფში ნახა, რომელზეც საჭმლის ნარჩენები იყო, ხოლო დივანზე მათთვის უცნობ მამაკაცს ეძინა.

– ალბათ საჭმელიც მოვიმზადე, – ხუმრობით განმარტა წვეულების მოყვარულმა.

ბინის პატრონები უცნობის სტუმრობას არ გაუნაწყენებია. მას ისინი ფინჯანი ჩაითა და სიგარეტით გაუმასპინძლდნენ. ვიდეორგოლში, რომელიც საკმაოდ პოპულარული გახდა, შოტლანდიელმა ბინის პატრონებს მისთვის გაწეული სტუმარ-მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


20 აპრილისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6931

ევრო — 3.0456

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5137

100 რუსული რუბლი — 4.2150

## ამინდის პროგნოზი 20 აპრილისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**23 აპრილიდან**

კარლო კოლოდი

**პინოკიოს თავგადასავალი**

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




**16 აპრილიდან**

მარკ ტვენი

**პრინცი და მაწანწალა**

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი







**12 აპრილიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი I

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**19 აპრილიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი II

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი







**3 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი III

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

**10 მაისიდან**

ლევ ტოლსტოი

**ომი და მშვიდობა**

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი





## იუმორი

სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს. მედესანტეები თვითმფრინავიდან ხტომებს ახორციელებენ. მეთაური იძახის:

– ქორიძე წავიდა!

– უკვე სამჯერ გადავხტი და პარაშუტი ერთხელაც არ გახსნილა!

მცირე წინააღმდეგობის შემდეგ მაინც გადააგდეს თვითმფრინავიდან.

ამ დროს ფერმერი დაქირავებულ მუშებს თათბირს უტარებს და ეუბნება:

– ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს? ძროხები მოუწველავია, მძღოლები სულ მთვრალები ყრიან...

ამ დროს სახურავზე დაცემის ხმა ისმის. ფერმერი დაბალ ხმაზე:

– ამ მედესანტემ ხომ ტვინი ...!!!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება?

– დასალევი რა გაქვს?

– წყალი.

– და რაიმე მაგარი არ გაქვს?

– კი, ყინული.

•••

ერთი თანამშრომელი მეორეს ეკითხება:

– ხელფასი როდის იქნება?

– როდესაც ბუღალტერი დაბრუნდება.

– რა, შვებულებაშია?

– არა, ძებნაში.

•••

მამაკაცი სექსოპათოლოგს მიმართავს:

– ექიმო, იცით, ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი და...

– არა, არა, ჩემთან არა, ფსიქიატრს მიმართეთ!

•••

პატარა გოგონა მამას ეუბნება:

– მამიკო, 20 ლარი მომეცი და გეტყვი, ვინ წევს დედიკოსთან, როცა შენ სახლში არ ხარ.

– აჰა, აიღე და აბა მითხარი ვინ?

– მე!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ნასვამი ხარ?

– ვინ გითხრა?

– შენმა თვალებმა.

– შენ თვითონ ხარ ნასვამი. სად გაგიგონია მოლაპარაკე თვალები?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სოლსკიაერი: „ზაფხულში რამდენიმე ფეხბურთელს გავყიდით“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა თავის გეგმებზე ისაუბრა და თქვა, რომ ზაფხულში მანჩესტერში საკმაოდ ბევრი ცვლილება იქნება. სოლსკიაერის აზრით, მანჩესტერის რამდენიმე ფეხბურთელი ამ გუნდის დონეს არ აკმაყოფილებს:

– მე ვესაუბრე ჩემს მოთამაშეებს და ჩვენ ნამდვილად გვაქვს პოტენციალი, რომ მომავალ სეზონში უკეთ ვითამაშოთ, თუმცა გაძლიერება აუცილებლად მოგვიწევს. რამდენიმე ფეხბურთელი ჩვენი გუნდის დონეს არ აკმაყოფილებს და მათ გუნდის დატოვება მოუწევთ.

## ნგოლო კანტე: „ევროპის ლიგა უნდა მოვიგოთ“

ჩელსის ფრანგმა ნახევარმცველმა ნგოლო კანტემ ევროპის ლიგაზე ისაუბრა და თქვა, რომ ჩელსიმ ეს ტურნირი უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სეზონი წარუმატებლად ჩაითვლება.

კანტეს აზრით, ევროპის ლიგაში გამარჯვება საკმაოდ პრესტიჟულია.

– ევროპის ლიგის ნახევარფინალში გავედით, რაც უკვე კარგი შედეგია, მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ევროპის ლიგა ერთადერთი ტურნირია, სადაც გამარჯვების შანსი გვაქვს და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ, – განაცხადა მან.



## ლუკა იოვიჩი, შესაძლოა, რეალში გადავიდეს



ფრანკფურტის აინტრახტის ფორვარდი ლუკა იოვიჩი მადრიდის რეალის ინტერესებში მოექცა და, შესაძლოა, მალე ის რეალში ვიხილოთ.

იოვიჩი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ფორვარდია ევროპაში და წლევანდელ სეზონში მან უკვე 17 გოლის გატანა შეძლო გერმანიის ჩემპიონატში.

იოვიჩის ტრანსფერი რეალს იაფი არ დაუჯდება და სამეფო გუნდი 70 მილიონი ევროს გადახდას აპირებს.

იოვიჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ რეალში თამაში მისი ოცნებაა.

## აარონ რემზიმ ტრავმა მიიღო

ლონდონის არსენალის უელსელმა ნახევარმცველმა აარონ რემზიმ ნაპოლისთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, 3 კვირას გამოტოვებს. რემზიმ, შესაძლოა, არსენალის მაისურით შეხვედრა აღარ ჩაატაროს, რადგან მომავალი წლიდან ის იუვენტუსის ფეხბურთელი გახდება და არსენალში ბოლო თვეებს ატარებს.

რემზიმ იმედი გამოთქვა, რომ სეზონის ბოლომდე ტრავმას მოიშუშებს.



**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 2. ბარიტის საბადო რაჭაში; 3. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 4. გამაგრებული ციხე-სიმაგრე გერმანიის ქალაქებში; 5. წმინდა, ხალასი ოქრო; 8. პოლონეთის პრეზიდენტი; 9. ცირკის მასხარა; 10. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმეს წარმატებას; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ჰაერში ასაშვები საბავშვო სათამაშო; 15. კრიმინალი ადამიანის, ხულიგნის, ქურდის, ბანდიტის საერთო სახელწოდება საფრანგეთში.

**თარაზულად:** 1. ნეფერტიტის ქანდაკების ავტორი; 6. ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 7. საინფორმაციო საშუალება; 10. ფრანგი მოდელიორი; 11. ნავსადგური უკრაინაში; 13. აკვიატებული შიში; 14. მაღალმთიანი სოფელი თუშეთში; 16. საჭმელი სოკო; 17. ტურისტთა, ალპინისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 18. ქართული რადიო.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

